ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

ხათუნა ხომასურიძის

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე:

რესოციალიზაცია, როგორც სასჯელის უმთავრესი მიზანი

წარდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მორის შალიკაშვილი

სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

სარჩევი

შემოკლებული აბრევიატურა 3

შესავალი 4

თავი I. სასჯელის ზოგადი დახასიათება 5

1.1. სასჯელის ცნება 5

1.2. სახელმწიფოს უფლება სასჯელზე 6

1.3. სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი 7

1.4. სასჯელის მიზნები 9

თავი II. რესოციალიზაციის არსი 12

2.1. რესოციალიზაციის ცნება 12

2.2. სახელმწიფოს ვალდებულება რესოციალიზაციაზე 13

2.3. რესოციალიზაციის გამიჯვნა მასთან ახლოს მდგომი ცნებებისგან 15

2.4. რესოციალიზაციის მიმართება ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასთან ... 18

2.5. რესოციალიზაციის მიმართება სამართლიანობის აღდგენასთან 20

თავი III. ალტერნატიული სასჯელების მნიშვნელობა რესოციალიზაციისთვის 23

3.1.საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა 25

3.2. ჯარიმა 28

3.3. გამასწორებელი სამუშაო 30

თავი IV. თავისუფლების აღკვეთა 32

4.1. მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთა 32

4.2. გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთა 33

4.3. უვადო თავისუფლების აღკვეთა 36

4.4.რესოციალიზაციის პროცესი სასჯელაღსრულების დაწესებულებებში 40

თავი V. სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლება 42

5.1. პირობით ვადამდე გათავისუფლება რესოციალიზაციასთან კავშირში 42

5.2. შეწყალებისა და ამნისტიის როლი მსჯავრდებულის რესოციალიზაციისთვის 45

თავი VI. რესოციალიზაცია სასჯელის მოხდის შემდეგ 47

6.1. მსჯავრდებულთა დასაქმება 48

6.2. ეტიკეტირების დაუშვებლობა 49

დასკვნა 50

ბიბლიოგრაფია 53

შემოკლებული აბრევიატურა

1. ა.შ.- ასე შემდეგ
2. გვ.- გვერდი
3. გამომც.- გამომცემლობა
4. თბ.- თბილისი
5. მაგ. - მაგალითად
6. პროფ.- პროფესორი
7. რედ. - რედაქტორი
8. სხვ.- სხვა
9. სსკ- სისხლის სამართლის კოდექსი

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება ისეთ პრობლემას, როგორიცაა რესოციალიზაციის მნიშვნელობა და მისი პრიორიტეტულობა სასჯელის სხვა მიზნებთან მიმართებით. სისხლის სამართლის კანონდებლობა სასჯელს ერთ-ერთ მიზნად უსახავს მსჯავრდებულის რესოციალიზაციას, რაც წამოჭრის მიზნებს შორის იერარქიის, მისი არსის განსაზღვრისა და მიღწევის პრობლემატიკას.

სასჯელის მიზნებზე, განსაკუთრებით კი რესოციალიზაციაზე, მსჯელობა აქტუალურია სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის თვალსაზრისით. ქვეყანაში დანაშაულთა სტატისტიკის მაღალი მაჩვენებელი მოითხოვს მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის პრინციპის ქმედით განხორციელებას, რადგან დანაშაულთა რიცხოვნობის ზრდის ტენდენცია, მნიშვნელოვანი ვალდებულება და გამოწვევაა სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკისთვის.

კვლევის მიზანია, განსაზღვროს რესოციალიზაციის არსი, მისი მნიშვნელობა სახელმწიფოებრივსა და საზოგადოებრივ ასპექტში. სასჯელის მეშეეობით რესოციალიზაციის მიღწევის შესაძლებლობაზე მსჯელობის შედეგად გამოარკვიოს როგორ არის შესაძლებელი მისი პრაქტიკული განხორციელება და რამდენად მიიღწევა მსჯავრდებულთა საზოგადოებაში ინტეგრაცია. კვლევის საგანია რესოციალიზაციის, როგორც სასჯელის უმთავრესი მიზნის ძირითადი გამოწვევების შესწავლა და ქმედითობის დადგენა.

ნაშრომის ფარგლებში განიხილება თუ არის სასჯელი, რა მიზნებს ისახავს იგი და როგორია მიზანთა ურთიერთკავშირი, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა რესოციალიზაციის ცნების ზუსტ გააზრებასა და მის მნიშვნელობას სასჯელის მიზნების მიღწევისთვის, გაიმიჯნება მასთან ახლოს მდგომი ისეთი ცნებებისგან, როგორიცაა აღზრდა, გამოსწორება, სოციალიზაცია, ინტეგრაცია, მკურნალობა და რეაბილიტაცია. განიხილება რესოციალიზაციის საკანონმდებლო რეგულირება, გამოიკვეთება მისი გამოყენების ლეგიტიმურობა, რომ სახელმწიფოა ვალდებული და უფლებამოსილი განახორციელოს რესოციალიზაციისკენ მიმართული ღონისძიებები. წარმოჩნდება ამ პროცესში საზოგადოების, ოჯახის მნიშვნელობა,მათი გავლენა შედეგზე. ყურადღება გამახვილდება საქართველოს კანონმდებლობით შემოთავაზებულ ალტერნატიულ ღონისძიებებზე, როგორიცაა: საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, ჯარიმა და გამასწორებელი სამუშაო, რესოციალიზაციასთან კავშირში, კერძოდ, რამდენად უზრუნველყოფს მოქმედი სისტემა რესოციალიზაციის მიღწევას და სტატისტიკის თანახმად, როგორია მისი გამოყენების მაჩვენებელი. განიხილება ასევე, სპეციფიური სასჯელის სახე, კერძოდ, თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის ხანგრძლივობის შედეგზე ორიენტირების მიმართება, ამიტომ იგი გააზრებული იქნება მოკლევადიანი, გრძელვადიანი და უვადო თავისუფლების აღკვეთის ასპექტში. ასევე, მიეთითება რა ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიყოფა სასჯელის მოხდის პროცესში და მის შემდეგ.

თავი I. სასჯელის ზოგადი დახასიათება

1.1. სასჯელის ცნება

რა არის სასჯელი? საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ამ ცნების ქვეშ არაიდენტური მნიშვნელობები მოიზრებოდა. მე_V-X საუკუნეებში სასჯელი (საშჯელი, სარჯელი, სარჩელი) ნიშნავდა ტანჯვას, სატანჯველს, სამართალს, განაჩენს, დასჯას, მსჯავრს. სასჯელი ზოგჯერ სამართლის მნიშვნელობითაც გამოიყენებოდა. მე_X-XII საუკუნეებში კი სასჯელმა განკითხვის, გასამართლების დატვირთვა შეიძინა.[1]

საქართველოს სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობა არ იძლევა სასჯელის ცნებას და დღესაც არსებობს მისი ინტერპრეტირებული ვარიანტები. თუმცა ყველა თანხმდება მის ნიშნებზე, კერძოდ, რომ სასჯელი არის სახელმწიფო იძულების ღონისძიება, რომელიც გამოიყენება კანონით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისთვის, დგინდება სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით საქართველოს სახელით და იწვევს მსჯავრდებულის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას. „სასჯელი არის სახელმწიფო იძულების განსაკუთრებული ღონისძიება, განსაკუთრებულია იმიტომ, რომ სახელმწიფო იძულების სხვა ღონისძიებებისგან(ადმინისტრაციული სახდელი, დისციპლინური სახდელი და ა. შ.) განსხვავებით, სასჯელი ყველაზე მკაცრი იძულებითი ღონისძიებაა.“[2]

სასჯელი , მისი ობიექტური ბუნებიდან გამომდინარე, ყოველთვის გულისხმობს დამნაშავისთვის „რაგაც არასასურველს“ , სასჯელს ყოველთვის თან სდევს დამნაშავის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა.[3] პროფ. გურამ ნაჭყებია მის ერთ-ერთ ელემენტად მორალურ ფსიქოლოგიურ ტანჯვასაც მიიჩნევს.[4]

როგორც აღინიშნა, სასჯელის ნიშნები დავას არ იწვევს, თუმცა ცნების დეფინიცია არაერთგვაროვანია, გამომდინარე იქედან, რომ კანონმდებლობა მას არ განმარტავს და იგი იურიდიული დოქტრინის პრობლემატიკას წარმოადგენს.

სასჯელის გამოყენების საფუძველს დანაშაული წარმოადგენს. სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ესე იგი ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. სისხლის სამართლის საგარანტიო ფუნქციას სასჯელთან მიმართებაში აქვს კონსტიტუციური

---

[1] ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ., 2016, გვ.19

[2] ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ., 2016, გვ.23

[3] დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელები და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, გვ.14

[4] ნაჭყებია გ., მსჯავრდებულის „მორალური გამოსწორების“ საკითხისთვის, სამართალი, 1995, #3-4, გვ.38

რანგი, „nulla poena sine lege” - არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე და „nulla poena sine culpa”- არ არსებობს სასჯელი ბრალის გარეშე.[5]

საინტერესო მოსაზრებაა ერთ-ერთ ამერიკულ იურიდულ ლიტერატურაში, კერძოდ, მითითებულია, რომ სისხლის სამართალი არსებობს იმიტომ, რომ არსებობენ ადამიანები, რომელთა ერთი ნაწილიც ზიანს აყენებს სხვას, მეორე ნაწილი კი ამით ზარალდება. ზარალი გამოიხატება სიცოცხლის მოსპობაში, სხეულის დაზიანებაში, თავისუფლების დაკარგვაში, ქონებრივ ზიანში. სისხლის სამართლის მიზანი არ არის კომპენსაცია, რეაბილიტაცია ან სიკეთისა და სათნოებისაკენ მოწოდება, არამედ მისი პირველადი მიზანია აიცილოს შესაძლო ზიანი.[6] ,,იურიდიული სანქციის მუქარით სამართალი იცავს საზოგადოებას და ამ თვალსაზრისით, ასრულებს რეპრესიულ ფუნქციას.“[7] ამ მხრივ მნიშვნელოვანია პოზიტიური და ნეგატიური პასუხისმგეებლობა. კანონმორჩილი ადამიანი სახელმწიფოსთან იმყოფება პოზიტიური პასუხისმგებლობის მდგომარეობაში, ხოლო დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან ნეგატიური პასუხისმგებლობა გამოიყენება. ნეგატიურმა პასუხისმგებლობამ უნდა დააბრუნოს პირი პოზიტიური პასუხისმგებლობის პოზიციაში.[8] აღნიშნული პასუხისმგებლობა კი სასჯელით გამოიხატება, მაშასადამე, სასჯელი არის სახელმწიფოს პასუხი დანაშაულზე, მისი სამართლებრივად ყველაზე მკაცრი რეაქცია ჩადენილ უმართლობაზე.

1.2. სახელმწიფოს უფლება სასჯელზე

სასჯელი არის სახელმწიფო იძულების ღონისძიება, რაც იმას ნიშნავს, რომ სასჯელის დაწესების უფლება მხოლოდ სახელისუფლებო ორგანოს შეუძლია, ქმედების კრიმინალიზაცია და დეკრიმინალიზაცია სახელმწიფოს უფლებაა.[9] დანაშაულზე სასჯელის დაწესებითა და სისხლისსმართლებრივად დასჯადი ქმედების ჩამდენი პირის მიმართ სასჯელის დანიშვნით რეაგირების უფლება მხოლოდ სახელმწიფოს გააჩნია, ვინაიდან, ვინც ქმედების დანაშაულებრიობას განსაზღვრავს, მანვე უნდა შეუსაბამოს დანაშაულის პროპორციული სასჯელი.[10]

სასჯელი ინიშნება სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით საქართველოს სახელით. იგი უნდა იყოს „სამართლიანი, ჩადენილი დანაშაულის თანაზომიერი და პროპორციული“.[11] პროპორციულობის იგივე თანაზომიერების პრინციპი, რომლის

---

[5] ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ.353

[6] Larry Alexander, Kimberly Kessler, Ferzan, Crime and Culpability, A Theory of Criminal Law, Cambridge University Press, 2009, P.3.

[7] ხუბუა გ. სამართლის თეორია, თბ., 2004წ. გვ. 46

[8] ნაჭყებია გ. სისხლის სამართალი, სახელმძღვანელო, ზოგადი ნაწილი, თბ., 2011წ. გვ. 43

[9]დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელები და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., გვ.13

[10] დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელები და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, გვ.13

[11] სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ.გ.ნაჭყებია, ნ.თოდუა, მესამე გამოცემა, თბ., 2018, გვ.520

საწყისიც უძველესი პერიოდის სამართლიანობის თეორიაა, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან და ძირითადი უფლებების არსიდან გამომდინარეობს.[12]

სასჯელი, როგორც სოციალური კონტროლის მექანიზმი, სახელმწიფო იძულების ყველაზე მკაცრ ღონისძიებას წარმოადგენს, ამიტომ კონკრეტული ქმედებისთვის სასჯელის დაწესებისას კანონმდებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სასჯელის გამოყენების აუცილებლობას, ეფექტურობას, პროპორციულობასა და ეკონომიკურობას.[13]

სასჯელი, როგორც აღინიშნა, ზღუდავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის თანახმად, ადამიანის ძირითადი უფლების შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს იმ ლეგიტიმური მიზნის მნიშვნელობას, რომლის მიღწევასაც იგი ემსახურება. შესაბამისად, სახელმწიფომ სასჯელი იმგვარად უნდა გამოიყენოს, რომ იგი შესაძლებელს ხდიდეს სასჯელის მიზნების მიღწევას. სასჯელი უნდა იყოს ადეკვატური, რაც ნიშნავს, რომ „სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი რეაქცია დანაშაულზე ინდივიდუალიზებული უნდა იქნას“[14].

1.3. სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი

სასჯელის ინდივიდუალიზაცია კანონისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის მიზნის შესრულების ეფექტიანობის აუცილებელი პირობაა, ამასთანავე, იგი სამართლიანი სასჯელის დადგენის პრინციპიცაა, ამიტომაც, სისხლის სამართლის პოლიტიკასა და სისხლის სამართლის სისტემაში სასჯელის ინდივიდუალიზაცია ზოგადი პრინციპის სტატუსის დონემდეა აყვანილი.[15]

სასჯელი გამოიყენება მხოლოდ იმ პირის მიმართ, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა, რაც ნიშნავს, რომ სასჯელს აქვს ინდივიდუალური პირადი ხასიათი. ,,თუ სასჯელის არსს გამოხატავს გაკიცხვა წარსულში ჩადენილი კონკრეტული ქმედებისათვის, ცხადია, ეს გაკიცხვა უნდა შეეხოს სწორედ იმას, ვინც იგი დაიმსახურა და არ შეიძლება გავრცელდეს სხვაზე, ვინც ის არ დაიმსახურა.“[16]

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი გულისხმობს „დამნაშავის მიერ ჩადენილი ქმედების საშიშროების, ბრალის ხარისხის, დანაშაულის შემამასუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა შეფასების, ბრალდებულის

---

[12] ცქიტიშვილი თ., სასჯელის პროპორციულობა, წიგნში: „სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში“, თბ., 2016, გვ.499

[13] დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელები და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, გვ.12-13

[14] ლეკვეიშვილი მ., სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, მართლმსაჯულება და კანონი, #4 (43), 14. გვ. 27

[15] ლეკვეიშვილი მ., სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, მართლმსაჯულება და კანონი, #4 (43), 14. გვ. 27

[16] გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი III, თბ, 2013, გვ.46

პიროვნების და სხვა მნიშვნელოვან გარემოებათა გათვალისწინებით მკაცრად ინდივიდუალიზებულ სამართლიანი სასჯელის შეფარდებას“[17].

მოსამართლისთვის სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოყენება არ არის მხოლოდ რეკომენდაცია, არამედ მის ვალდებულებას წარმოადგენს, რომლისგანაც თავის არიდება არ შეუძლია.[18] მან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალიზირებული სასჯელი უნდა განსაზღვროს, რომელიც დასახული მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს.

სსკ-ის 53-ე მუხლის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი და შეურიგდეს დაზარალებულს. სასამართლომ დეტალურად უნდა შეისწავლოს სისხლის სამართლის საქმის გარემოებები და შინაგანი რწმენით განუსაზღვროს კონკრეტული სასჯელის ღონისძიება. სსკ-ს 53-ე მუხლიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს სასჯელის ინდივიდუალიზება ყველა ცალკეულ შემთხვევაში.

კანონმდებელმა დაწვრილებით უნდა შეისწავლოს კანონით მოსაწესრიგებელი ურთიერთობა; ასევე უნდა გაითვალისწინოს მასში მონაწილე სუბიექტთა ინტერესები და სამართლებრივი რეგულირების მოსალოდნელი შედეგები. [19] ე.ი. მიზანი უნდა გამომდინარეობდეს დანაშაულის სპეციფიკიდან და აფუძნებდეს მის შესაბამის სასჯელს, სასჯელის მიზნებიდან გამომდინარე განისაზღვრება სასჯელი, მის ხასიათი დამოკიდებულია მიზნებზე.

სასჯელი ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და ბრალის შესაბამისი, სამართლიანი უნდა იყოს. „დანაშაულის ჩამდენი პირი არ შეიძლება დანაშაულთან ბრძოლის შიშველ ობიექტად, საშუალებად იქცეს. ყოვლად გაუმართლებელია ადამიანი მიზნის მიღწევის საშუალებას(ინსტრუმენტს) წარმოადგენდეს, იგი ყოველთვის მიზანი უნდა იყოს.“[20]

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის პრაქტიკულ განხორციელებას სასჯელის მიზნების მიღწევისას, განსაკუთრებით მსჯავრდებულის რესოციალიზაციისას, დიდი როლი ეკისრება, ვინაიდან „დამნაშავისადმი

---

[17] ლეკვეიშვილი მ., სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი, წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016, გვ. 211

[18] სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა, რედ. გ.ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ., 2018, გვ. 523

[19] ხუბუა გ., სამართლის თეორია, მეორე გამოცემა, თბ,, 2015, გვ. 87

[20] კუბლაშვილი კ., საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის კომენტარი, წიგნში-საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, თბ., 2005, გვ.83,85

ინდივიდუალური მიდგომა უფრო ეფექტურს გახდის სასჯელს“.[21] ინდივიდუალიზაციის პრინციპი ვერ განხორციელდება თუ არ გაითვალისწინება მსჯავრდებულთა პიროვნული თავისებურებები.[22] ამ მიზნის მიღწევის გარეშე კი სასჯელი სამაგიეროს მიზღვის სახედ გვევლინება,რაც გაუმართლებელია.

1.4. სასჯელის მიზნები

სასჯელის მიზანი ის საბოლოო შედეგია, რის მიღწევისკენაც მიისწრაფვის სახელმწიფო თავის მიერ დადგენილი იძულებით ღონისძიებათა გამოყენების მეშვეობით.[23] ადამიანის დასჯა სასჯელის მიზნების მიღმა, ამ მიზნების მიღწევის აუცილებლობის გარეშე ან მათ არაადეკვატურად, თავად დასჯას აქცევს სახელმწიფოს მიზნად და მთავარ ფუნქციად, შედეგად არარად აქცევს სამართლებრივი სახელმწიფოს იდეას.[24]

საქართველოს კანონმდებლობით გაწერილია სასჯელის მიზნები, კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. მისასალმებელია სისხლის სამართლის კოდექსით სასჯელის მიზნების დადგენა, როგორც „მნიშვნელოვანი ორიენტირისა“,[25] ბევრ სხვა საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში სასჯელის მიზნები კანონმდებლობაში არ არის კონკრეტიზებული და ისინი თეორიაში აიხსნებიან.

სასჯელის მიზნად უძველესი დროიდან მიიჩნევდნენ სამაგიეროს მიზღვას, რაც დღეს უარყოფილია. ჩ. ბეკარია აღნიშნავდა, რომ „ სასჯელის მიზანი არ არის წამება და ტანჯვა და არა ის, რომ ჩადენილი დანაშაული არაარსებითად გავხადოთ, არამედ მხოლოდ ის, რომ დამნაშავეს ხელი შეეშალოს კვლავ მიაყენოს ზიანი საზოგადოებას და და სხვებიც შეაკავოს ასეთი ქმედების ჩადენისგან. ამიტომ საჭიროა მხოლოდ ისეთი სასჯელის გამოყენება, რომელიც დანაშაულთან თანაფარდობის გამო, ყველაზე ძლიერ შთაბეჭდილებას მოახდენს სულზე და ნაკლებად მტანჯავი იქნება ადამიანის სხეულისთვის.“[26] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიუთითებს, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში კანონზომიერია მოლოდინი, რომ სასჯელი, თავისი შინაარსით, ფორმით, თვისობრივას და არსებითად გასცდება შურისძიების პრიმიტიულ საფუძველს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სამართალთან და რომელიც ობიექტურად ვერ

---

[21] დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელები და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, გვ.73

[22] ნაჭყებია გ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2011, გვ.100

[23] ლეკვეიშვილი მ., სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, მართლმსაჯულება და კანონი, #4 (43) 14., გვ. 18

[24] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება #1/4/592 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარალამენტის წინააღმდეგ“II-40

[25] ლეკვეიშვილი მ., სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, მართლმსაჯულება და კანონი, #4 (43) 14., გვ. 19

[26] იქვე, გვ.19

შეუწყობს ხელს ვერც ადამიანების, საზოგადოების დაცულობას, ვერც დანაშაულის შემცირებას და ვერც დამნაშავე პირის რესოციალიზაციას, საბოლოოდ, კი ვერ უზრუნველყოფს იმ სამართლებრივ წესრიგს, რომლის დაცვისთვისაც უნდა გამოიყენებოდეს სახელმწიფოს იძულების უკიდურესი საშუალებები.[27]

სასჯელის მიზნები ორ ჯგუფად იყოფა: უტილიტარულ და არაუტილიტარულ მიზნებად. უტილიტარული გულისხმობს სასარგებლო ეფექტის მიღებას. კერძოდ, დამნაშავის ან სხვათა მხრიდან მომავალში დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შეზღუდვასა და შემცირებას. ხოლო "სასჯელის არაუტილიტარული მიზანი კი მოიცავს მართლმსაჯულებისა და სამართლიანობის პრინციპის აღიარებას. რაც ამერიკელი მეცნიერის რ.ფრეისის აზრით, თვით სასჯელის მიზანია და არ ექცევა ყურადღება შეუძლიათ თუ არა მათ კონკრეტული სოციალური თუ ინდივიდუალური სარგებლის მოტანა."[28] „უტილიტარული თეორიები თავისი არსით პრევენციის თეორიებია"[29] და მისი მომხრეები უმეტესწილად, ძირითად აქცენტს გენერალურ დაშინებაზე აკეთებენ. დაშინების ეფექტი მდგომარეობს იმაში, რომ დასჯილის, როგორც „ობიექტის გამოყენება საზოგადოების დანარჩენი ნაწილისთვის ჭკუის სასწავლებელი იქნება."[30]

სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემულია აბსოლუტური და პრევენციული თეორიების სინთეზი. აბსოლუტური თეორიის მიხედვით, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ხოლო პრევენციული თეორიის მიხედვით კი ახალი დანაშაულის თავიდან აცილება (ზოგადი და სპეციალური პრევენცია) და დამნაშავის რესოციალიზაცია (სპეციალური პრევენცია).[31] სასჯელი ამ მიზნებზე უნდა იყოს ორიენტირებული, რის გამოხატვასაც მისი ჩადენილ ქმედებასთან ადეკვატურობა წარმოადგენს. თუ სასჯელი დანაშაულთან მიმართებით არაპროპორციულია და არ აკმაყოფილებს სამართლიანობის მოთხოვნებს, თუ არ არის შესაბამისი ახალი დანაშაულის ასაცილებლად და მსჯავრდებულის რესოციალიზაციისთვის, მაშინ მისი აღსრულებით გამოწვეული ტანჯვა თავისთავად იქნება დამატებითი, გაუმართლებელი დასჯა და ადამიანის ღირსების ხელყოფა.[32]

სასჯელის მიზნების ანტინომია გამოიხატება იმაში, რომ მათ აქვთ ურთიერთსაწინააღმდეგო ამოცანები. ამიტომ აუცილებელია მათი

---

[27] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება #1/4/592 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარალამენტის წინააღმდეგ"II-43

[28] Richard S. Frase, Punishment purposes, Stanford Law Review, Vol. 58:67, October, 2005, p. 72

[29] დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელები და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, გვ.19

[30] დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელები და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, გვ.21

[31] ტურავა მ., სისხლის სამართალი,ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013, გვ.354

[32] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება #1/4/592 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარალამენტის წინააღმდეგ"II-56

ურთიერთშერიგება, შერწყმა, სინთეზი.[33] ისინი არ შეიძლება ცალ-ცალკე განიხილებოდეს, რადგან ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არიან.

სისხლისსამართლებრივი დაცვის უპირველესი ობიექტი არის ადამიანი. ხოლო ადამიანის უმთავრესი ბუნებითი მოთხოვნილება თვითრეალიზაციაა, შესაბამისად, მასზე ზრუნვის საუკეთესო საშუალება თვითგამოხატვის პირობების შექმნაა. სასჯელის ესა თუ ის მიზანიც, თავის თავში უნდა მოიცავდეს პიროვნების თვითრეალიზაციის შესაძლებლობას და არ უნდა გამორიცხავდეს მას, შესაბამისად, უნდა განვსაზღვროთ, სასჯელის რომელი კონკრეტული მიზნის განხორციელება უზრუნველყოფს ზემოხსენებულ უზენაეს მოთხოვნილებას საუკეთესოდ.

სასჯელი შესაძლოა კონკრეტულ შემთხვევაში იყოს მიზნებზე ორიენტირებული, მაგრამ კონკრეტული შედეგი- როგორიცაა ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, მაინც არ გამოიწვიოს. სასჯელის მიზანი არის ის, რაც სასჯელის მეშვეობით უნდა განხორციელდეს, მაგრამ ყოველთვის მიიღწევა თუ არა იგი ამის წინასწარ თქმა შეუძლებელია. სასჯელის მიზნები გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება განხორციელდეს, ხოლო გარკვეულ შემთხვევებში კი არა.[34] სასჯელის მიზნების განხორციელებისას დიდი პასუხისმგებლობა საზოგადოებასა და სახელმწიფოს ეკისრება, ნებისმიერი დამნაშავე საზოგადოების წევრია. ამიტომ საზოგადოებამ და სახელმწიფომ კუმულაციურად უნდა შეუწყოს ხელი მის რეინტეგრაციას გარკვეული პროგრამების შეთავაზებითა და მსჯავრდებულის, როგორც საზოგადოების წევრის მიღებით, რათა სასჯელმა თავისი ფუნქციური დატვირთა შეასრულოს.

საბოლოოდ, სახელმწიფომ მსჯავრდებისას პროპორციული სასჯელის გამოყენება უნდა უზრუნველყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში „სასჯელი და ზოგადად პასუხისმგებლობა ასცდება მათსავე მიზნებს და გადაიქცევა პოტენციური შურიძიების იარაღად. შედეგად სამართალი და კანონი დაკარგავს თავის ძირითად ფუნქციას. კანონი სამართლიანობისა და წესრიგისთვის არის საჭირო და თუკი ის გადაიქცევა ხელისუფლების ინსტრუმენტად ადამიანთა მანიპულირებისთვის, კანონი თავად გახდება იმ პრობლემების წყარო რომელთა თავიდან აცილებისა თუ აღმოფხვრისთვისაც ის არის საჭირო.“[35]

---

[33] ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013, გვ.356

[34] ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ., 2016, გვ. 55-56

[35] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება #1/6/557,571,576 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები- ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამნეტის წინააღმდეგ, II-51

თავი II. რესოციალიზაციის არსი

2.1. რესოციალიზაციის ცნება

ტერმინი რესოციალიზაცია ორი სიტყვის ,,რე"_ს და ,,სოციალიზაციის" შერწყმის შედეგადაა მიღებული. ,,რე" არის თავსართი, ხოლო ,,სოციალიზაცია" კი ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს: 1) ადამიანის საზოგადოების ნაწილად ქცევას; 2) ადამიანის, ინდივიდის მიერ გარკვეული ცოდნის, ნორმების ფასეულობების სისტემის შეთვისების პროცესს, რაც საშუალებას აძლევს საზოგადოების სრულფასოვან წევრად იქცეს; მოიცავს, როგორც პიროვნებაზე მიზანმიმართულ ზემოქმედებას , ასევე სტიქიურ, სპონტანურ პროცესებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მის ფორმირებაზე.[36]

მსჯავრდებულის რესოციალიზაცია მჭიდრო კავშირშია მის მიერ განვლილ სოციალიზაციის პროცესთან. „ხშირად რესოციალიზაციას პირველად ან შემცვლელ სოციალიზაციასაც ეძახიან. ამით ყურადღება მახვილდება ადამიანის სოციალიზაციის პირობების პრობლემებზე, არასაკმარის სოციალიზაციაზე, რომელმაც შესაძლოა განაპირობა მისი დამნაშავედ ჩამოყალიბება."[37] სოციალიზაცია განიხილება, როგორც ცხოვრების მანძილზე მიმდინარე რთული პროცესი, რომლის საშუალებითაც ინდივიდს ითვისებს მისი კულტურისათვის დამახასიათებელი ქცევებსა და ღირებულებებს.[38] რესოციალიზაციის აუცილებლობა დგას იმ პირების მიმართ, რომელთაც წარსულში განიცადეს დესოციალიზაცია, ანუ, უკვე გავიდნენ სოციალიზაციის პროცესიდან.

რესოციალიზაცია არის სოციალიზაციის პროცესის ნაწილი, წინსართი „რე" არის იმის გამომხატველი, რომ სოციალიზაციის ნაწილი განხორციელდა საზოგადოებისგან განცალკევებით (ციხეში), რის გამოც მისი საზოგადოებაში განახლებულად დაბრუნება აუცილებელია;[39] იგი სოციალიზაციის სპეციალური ფორმაა, რომლის მიზანსაც სამართლებრივი თვითშეგნების ჩამოყალიბება და სახელმწიფო, საზოგადოებრივი ნორმებისადმი პატივისცემა წარმოადგენს.[40]

საქართველოს პატიმრობის კოდექსის 116-ე მუხლის თანახმად, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია არის მსჯავრდებულში საზოგადოების, სხვა ადამიანების, ზნეობის ნორმებისა და ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება. კოდექსი მსჯავრდებულის გამოსწორების ზნეობრივ მოთხოვნაზეც მიგვთითებს, რომლის გამოც სასჯელმოხდილმა პირმა სავარაუდოდ აღარ უნდა ჩაიდინოს დანაშაული, რაც რესოციალიზაციისთვის დაწესებულ მაღალ სტანდარტს წარმოადგენს.

ვეთანხმები პროფ. გურამ ნაჭყებიას მოსაზრებას, რომ მსჯავრდებულის მორალურად, ზნეობრივად გამოსწორების მიზანი შეუძლებელია მიღწეულ იქნეს

---

[36] უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 2007, გვ.748

[37] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, გვ. 75

[38] ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ., გვ. 86

[39] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, გვ. 75

[40]შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, გვ. 76

სახელმწიფო იძულების იმ უკიდურესი ზომით, როგორიცაა სასჯელი, „მსჯავრდებულის ,,მორალური“ გამოსწორების მიზნის საშუალებად სასჯელი ვერ ჩაითვლება.“[41] პრიორიტეტი ამ შემთხვევაში არის შედეგი, კერძოდ, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება რესოციალიზაციით. რესოციალიზაციის პროცესში „მსჯავრდებული სწავლობს დანაშაულის გარეშე ცხოვრებას, ქცევას“[42], რაც გულისხმობს იმას, რომ შესაძლოა პიროვნება სრულად არ აკმაყოფილებდეს სსკ-ს 116-ე მუხლით დადგენილ სტანდარტს, მაგრამ რესოციალიზაციის ღონისძიებების შედეგად მაინც აღარ ჩაიდინოს დანაშაული. „მთავარია მსჯავრდებული სასჯელის მოხდის შემდეგ გათავისუფლდეს კრიმინოგენური თვისებებისგან იმდენად, რომ მან მომავალში აღარ დაუშვას დანაშაულის რეციდივი. დამატებით იმის მოთხოვნა, რომ იგი ზნეობრივად ისეთ პიროვნებად იქცეს, რომ საერთოდ არ დაუშვას მორალური ნორმების დარღვევა, არარეალურია.“[43]

რესოციალიზაციაში ერთგვარად ორ სტადია გამოიყოფა, პირველი ესაა რეადაპტაცია, რაც გულისხმობს, საზოგადოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნორმებისა და წესების მიჩვევას და შემდეგი სტადიაა რეინტეგრაცია- მათი აღიარება და მიღება საკუთარი აქტივობის ნორმებისა და წესების სახით. მსჯავრდებულის საზოგადოებაში ინტეგრაციაზე მიუთითებს ასევე გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო. 1977 წლის გადაწყვეტილების შესაბამისად, მოსამართლეები მიუთითებენ, რომ ,,რესოციალიზაცია არის დამნაშავის საზოგადოებაში ინტეგრაცია(BVerfG E35, 202, 235“[44] ინტეგრაციის პროცესის დროს მნიშვნელოვანია თავიდან იქნას აცილებული მსჯავრდებულის ეტიკეტირება და განტევების ვაცად ქცევა.[45]

საბოლოოდ, რესოციალიზაცია არის სოციალური სახელმწიფოს პრინციპით მოცული მსჯავრდებულის უფლება დაბრუნდეს საზოგადოებაში და განმეორებით მიიღოს მონაწილეობა სოციალიზაციის პროცესში, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად, შექმნას საკმარისი პროგრამები და ინიციატივები დამნაშავის გამოსასწორებლად.[46]

2.2. სახელმწიფოს ვალდებულება რესოციალიზაციაზე

„რესოციალიზაცია, როგორც სოციალური სახელმწიფოს პრინციპით მოცული მსჯავრდებულის უფლება, არის სახელმწიფოს კრიმინალური პოლიტიკის იარაღი

---

[41] ნაჭყებია გ., მსჯავრდებულის „მორალური გამოსწორებისთვის“ საკითხისათვის, სამართალი, 1995, #3-4, გვ. 42-43

[42] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, გვ. 75

[43] ტყეშელიაძე გ., სასჯელის მიზნების საკანონმდებლო განსაზღვრების შესახებ, სერგო ჯორბენაძე-70, საიუბილეო კრებული, თბ., 1996, გვ.409

[44] ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ., 2016, გვ. 88

[45] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, გვ. 76

[46] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, გვ. 81

დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი“.[47] მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, როგორც სასჯელის უმთავრესი მიზანი, არ უნდა დარჩეს სისხლის მხოლოდ მუხლის დისპოზიციად, ეს ჩანაწერი, პირველ რიგში, სახელმწიფოს ვალდებულებას გულისხმობს უზრუნველყოს მსჯავრდებულის საზოგადოებაში დაბრუნება.

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი განმტკიცემულია საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში, სადაც ერთ-ერთ ფუძემდებლურ მიზნად მითითებულია „სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრება“.[48] გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიხედვით, ციხეში პირის რესოციალიზაცია ეფუძნება ადამიანის ღირსებას და სოციალური სახელმწიფოს პრინციპს. მსჯავრდებულს, როგორც ადამიანური ღირსების მატარებელ პირს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს ღირსეულად დაუბრუნდეს საზოგადოებას. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას იზრუნოს იმ პირებზე, რომელთაც სოციალურ განვითარებაში ხელი ეშლებათ, მათი ბრალის მიუხედავად.[49] ასეთი პიროვნებების კატეგორიას განეკუთვნებიან მსჯავრდებულები და ციხიდან გათავისუფლებული პირები.[50]

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესი იწყება მისი დესოციალიზაციით. რა დროსაც კარგავს იმ ძველ, საზოგადოებისთვის მიუღებელ, ფასეულობებს და ღირებულებებს, რომელმაც მის მიერ დანაშაულის ჩადენა გამოიწვია. დესოციალიზაციის პროცესი ანადგურებს მსჯავრდებულის საკუთარ მე-ს გრძნობას და უნერგავს ზემდგომისადმი მორჩილებას. `ტოტალური ინსტიტუტები ხელს უწყობენ ფსიქოლოგიურ რეგრესს. ციხის პირობებში უკვე დესოციალიზირებულ მსჯავრდებულის რესოციალიზაციის განმახორციელებელი სუბიექტი ციხის ადმინისტრაციაა.[51] ისინი განსაკუთრებულად საჭიროებენ სოციალურ განვითარებას, რათა დაბრუნდნენ საზოგადოებაში.

რესოციალიზაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია გერმანიის ფედერალური სასამართლოს 1973 წლის გადაწყვეტილება ე.წ. „ლებახის საქმეზე“[52], რომელიც შეეხებოდა სამი ახალგაზრდის მიერ ოთხი მძინარე ჯარისკაცის მკვლელობას, მათ გაიტაცეს ტყვია-წამალი და აპირებდნენ თავდასხმებს ქონების დაგროვების მიზნით, რათა სამხრეთის ზღვის სანაპიროზე უზრუნველად ეცხოვრათ, ისინი იყვნენ ახლო მეგობრები, რომელთაც ერთმანეთთან სექსუალური ურთიერთობა ჰქონდათ. ორ მათგანს მიესაჯა უვადო თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მესამეს ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, თუმცა პირობით ვადამდე გათავისუფლდა. მსჯავრდებულის გათავისუფლების დღეს ტელეკომპანია „ZDF“ გეგმავდა ეჩვენებინა

---

[47] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, გვ. 76

[48] საქართველოს კონსტიტუციის პრემბულა

[49] შვაბე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. თბ., 2011. გვ. 315.

[50] გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება (BVerfG 35,202 (235)

[51]შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, გვ. 76-77

[52] გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება (BverfG 35, 202; ი. შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. თბ., 2011. გვ. 131

ორსაათნახევრიანი დოკუმენტური ფილმი სახელწოდებით „ჯარისკაცების მკვლელობა ლებახში“. რომელიც მაყურებელს უამბობდა დანაშაულის ჩადენის ქრონიკას მსჯავრდებულთა ინდენტიფიცირებით. საკონსტიტუციო სასამართლომ ტელეკომპანია „ZDF“-ს აუკრძალა დოკუმენტური ფილმის ჩვენება და განაცხადა: მსჯავრდებულს, როგორც კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ღირსების მატარებელ პირს, შესაძლებლობა უნდა მიეცეს, სასჯელის მოხდის შემდეგ ინტეგრირებულ იქნას საზოგადოებაში.

სასამართლომ აღნიშნა, რომ დაუშვებელი იყო მოგვიანებით ინფორმაციის გავრცელება, თუ მისი საშუალებით შესაძლებელი ხდებოდა არსებითად ახალი ან დამატებითი ზიანის მიყენება მსჯავრდებულისთვის, რის გამოც საფრთხე ექმნებოდა მის რესოციალიზაციას. საფრთხეს კი წაარმოადგენდა ის, რომ ეთერში გავიდოდა მძიმე დანაშაულთან დაკავშირებული გადაცემა, რომლითაც შესაძლებელი იყო მისი იდენტიფიცირება.[53]

სახელმწიფოსთვის რესოციალიზირებული მსჯავრდებული მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორების გამო:

- აღარ ჩაიდენს დანაშაულს და საზოგადოებაში არ დაამკვიდრებს დაუცველობის გრძნობას, რაც მძიმედ აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე;
- არარესოციალიზირებული მსჯავრდებული არის სახელმწიფოსთვის ადამიანური რესურსის დაკარგვა;
- არარესოციალიზირებული მსჯავრდებული განმეორებით ჩაიდენს დანაშაულს, რაც სახელმწიფოს აიძულებს უფრო მეტი ეკონომიკური ხარჯი გასწიოს ციხის პირობებში მის შესანახად;
- არარესოციალიზაირებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა თუ გაიზრდება და ხშირი გახდება მათ მიერ განმეორებით დანაშაულის ჩადენა, სახელმწიფო იძულებული იქნება ლიბერალურიდან გადავიდეს მკაცრ კრიმინალურ პოლიტიკაზე, რისთვისაც სახელმწიფოს უფრო მეტი ეკონომიკური და ადამიანური რესურსის მობილიზება მოუხდება.[54]

2.3. რესოციალიზაციის გამიჯვნა მასთან ახლოს მდგომი ცნებებისგან

რესოციალიზაციის ცნება ახლოს დგას ისეთ ცნებებთან, როგორიცაა გამოსწორება, აღზრდა, სოციალიზაცია, მკურნალობა, რეაბილიტაცია, ინტეგრაცია. განვიხილით თითოეული მათგანი.

გამოსწორება

[53] გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება (BverfG 35, 202; ი. შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. თბ., 2011. გვ. 132

[54] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, გვ. 67-68

ბოლო პერიოდში ტერმინი გამოსწორება რესოციალიზაციასთან მიმართებით აღარ გამოიყენება, იგი გულისხმობდა დამნაშავის, როგორც სულიერად ავადმყოფი ადამიანის, ნების საწინააღმდეგოდ გამოსწორებას.[55]

გამოსწორებაში მოიაზრება "დამნაშავის ფსიქიკაში დანაშაულის ჩადენისადმი მიდრეკილების აღმოფხვრა, მისთვის ისეთი ჩვევისა თუ შეხედულების შთაგონება, რომელიც გამორიცხავს მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის სურვილს."[56] დამნაშავის გამოსწორებაზე ლაპარაკი შეიძლება მაშინ, როცა სასჯელი ზეგავლენას ახდენს მის შეგნებაზე, და დამნაშავე შესაძლოა არ იქცევა საზოგადოების აქტიურ და შეგნებულ წევრად, მაგრამ უკვე საზოგადოებისთვის უსაფრთხოა.[57]

რესოციალიზაცია თავის თავში მოიცავს დამნაშავის მოქალაქედ გადაქცევის მიზანმიმართულ პროცესს, დესოციალიზებული პიროვნების ხელახალ სოციალიზაციას, მისი შემდგომო თავისუფალი ცხოვრებისათვის მომზადებას. სასჯელის ამ უმნიშვნელოვანესი მიზნის მიღწევა, გამოსწორების გარდა, სხვა გზებითაც ხდება. მაგ: გარკვეული პირობების შექმნა სოციალური სამყაროსთან ნეგატიური კავშირების გადასაწყვეტად; მსჯავრდებულთან აღმზრდელობითი საქმიანობა; ამ პირების სოციალური ადაპტაცია და სხვა. მსჯავრდებულის გამოსწორება, როგორც დამოუკიდებელი მიზანი, სასჯელს არ გააჩნია, იგი სასჯელის მიზნის, კერძოდ, დამნაშავის რესოციალიზაციის მიღწევის პენიტენციური საშუალებაა.[58]

აღზრდა

აღზრდა არის პიროვნების ჩამოყალიბების სოციალური, მიზანმიმართული, ორგანიზებული პროცესი, რა დროსაც ხდება ყოფაქცევის ჩვევათა გადაცემა.[59]

აღზრდა სრულწლოვანთა სისხლის სამართალში შეუსაბამოა, ხოლო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში კი აღიარებულია. ზრდასრულებმა შეიძლება შემდგომი განათლება მიიღონ, მაგრამ არა აღიზარდონ.[60] გერმანიის სისხლის სამართალი მსჯავრდებულის აღზრდაზე საუბრობს, თუ იგი არასრულწლოვანია, ხოლო თუ იგი ზრდასრულია - რესოციალიზაციაზე. „ხშირად აღზრდა და რესოციალიზაცია სინონიმებადაც კი გამოიყენება. რესოციალიზაცია სწორედ ხელახალ აღზრდას გულისხმობს.."[61]

სოციალიზაცია

„სოციალიზაცია არის ცხოვრების მანძილზე მიმდინარე რთული პროცესი, რომლის საშუალებითაც ინდივიდს უყალიბდება მისი კულტურისათვის დამახასიათებელი

---

[55] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, გვ. 77

[56]ლეკვეიშვილი მ., შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები,სტატიათა კრებული, თბ., 2011, გვ.55

[57] ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ., 2016, გვ. 89-90

[58] ქათამაძე მ., სასჯელის მიზნები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, ალმანახი, #3, 2004, გვ. 57

[59] უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, (3 ტომად), შემდგ. ა. ელერდაშვილი, თბ., 2006

[60] ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ., 2016, გვ. 91

[61] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, გვ. 78

ქცევები, სტანდარტები, ღირებულებები.“[62] სოციალიზაციასა და რესოციალიზაციას შორის განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ სოციალიზაციის ნაკლებობა საჭიროებს რესოციალიზაციას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რესოციალიზაცია სჭირდება იმ ადამიანებს, რომლელთა სოციალიზაციაც შეჩერებულია.

მკურნალობა

საქართველოს კანონის „პატიმრობის კოდექსის“თანახმად, მასში მოიაზრება ჯანმრთელობის მკურნალობას. რესოციალიზაცია ორიენტირებულია ფსიქიკურად ჯანმრთელი ადამიანის მენტალობის, შეხედულებების ცვლილებაზე, ხოლო მკურნალობისას ჯანმრთელობაზე ხდება ზემოქმედება. მასში ასევე იგულისხმება ფსიქიკური აშლილობის მქონე მსჯავრდებულის მკურნალობა, ფსიქიატრიული დახმარების გაწევა .

რეაბილიტაცია

რეაბილიტაცია ძირითადად სამედიცინო სფეროს ტერმინს წარმოადგენს. გულისხმობს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ემსახურება განკურნებას, ძალის აღდგენასა და ინტეგრაციას.[63]

რეაბილიტაცია გულისხმობს კონკრეტული პროგრამის მეშვეობით კონკრეტული შედეგის მიღწევას, მაგალითად, ნარკოტიკული ნივთიერების მიღებაზე უარის თქმა, პროფესიული რეაბილიტაცია, ხოლო რესოციალიზაცია შეიძლება უფრო ზოგადი იყოს, მაგალითად, საზოგადოებაში ხელახალი ინტეგრაცია.[64]

ინტეგრაცია

ინტეგრაცია გულისხმობს, რომ სოციალური მომსახურება ყველასათვის ხელმისაწვდომი ხდება, სოციალური უთანასწორობა შემცირდება, ასევე მოიცავს შესაძლებლობების უკეთეს განაწილებას და სოციალური უსაფრთხოების გაძლიერებას. ინტეგრაციის ცნება დაკავშირებულია რესოციალიზაციის ცნებასთან უმეტესწილად პატიმრობისგან გათავისუფლების კუთხით.[65]

„სოციალური ინტეგრაციის ცნება გვიჩვენებს, რომ დამნაშავეს უმეტესი პრობლემები ექმნება საზოგადოებაში ინტეგრაციის ნაკლულობის მეშვეობით, განსაკუთრებით თავისუფლების აღკვეთის მოხდის შემდეგ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სოციალური ინტეგრაცია გულისხმობს დამნაშავესა და საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობას.“[66] ინტეგრაცია უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე რესოციალიზაცია, ეს უკანასკნელი პატიმრობის თანმდევი მოვლენაა, ხოლო ინტეგრაციის ერთ-ერთი სფეროა პატიმრის საზოგადოებაში დაბრუნება.

---

[62] ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ., 2016, გვ. 86
[63] ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ., 2016, გვ. 95
[64] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, გვ. 79
[65] ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ., 2016, გვ. 93
[66] ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ., 2016, გვ. 94

2.4. რესოციალიზაციის მიმართება ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასთან

სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის თანახმად, სასჯელის ერთ-ერთი მიზანია ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. კოდექსის 39-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები ითვალისწინებენ ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას, როგორც მსჯავრდებულის მხრიდან (სპეციალური პრევენცია), ისე სხვა პირთა მხრიდანაც (გენერალური პრევენცია), რომლებიც სასჯელის მუქარის გამო თავს იკავებენ დანაშაულისგან.

ტერმინი ,,ახალი დანაშაულის თავიდან აცილება'' გულისხმობს, რომ მსჯავრდებულმა სასჯელის მოხდის შემდეგ კვლავ არ ჩაიდინოს დანაშაული, ე.ი. საქმე გვაქვს სპეციალურ პრევენციასთან, რომელიც მიმართულია კონკრეტულ პირზე, მსჯავრდებულზე, რომ მომავალში სასჯელის შიშით აღარ ჩაიდინოს დანაშაული.

გენერალური პრევენციის მიზანია დანაშაულის თავიდან აცილება, რაც მიიღწევა საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებითა და პოტენციური დამნაშავეების დაშინებით.[67] სასჯელის გენერალური პრევენცია მიმართულია მთელიანად საზოგადოებისკენ. აქ გამოიყოფა ნეგატიური და პოზიტიური ასპექტები.[68]

პოზიტიური გენერალური პრევენციის თეორია მიზნად ისახავს სამართლისადმი პატივისცემის მიღწევასა და შენარჩუნებას და ამით საზოგადოებაზე ახდენს პოზიტიურ ზემოქმედებას. მას სასწავლო-აღმზრდელობითი ეფექტიც გააჩნია, აღსანიშნავია,რომ იგი უყურადღებოდ ტოვებს დამნაშავის ინდივიდუალურ პიროვნებას.[69] იგი მიმართულია საზოგადოებისკენ და „მიზნად ისახავს მოსახლეობის კონფორმული ქცევის გაძლიერებას.“[70]

გამოიყოფა სასჯელის ზოგადგამაფრთხილებელი მოქმედების სამ სახე: მას შეუძლია ჰქონდეს 1. დაშინების ეფექტი, 2. მორალური ეფექტი-შეუძლია გააძლიეროს მორალური აკრძალვები და 3. შეუძლია ჩვეულებრივი კანონმორჩილი ქცევის სტიმულირება. სასჯელის ზოგადი პრევენციის მიზანს ეხებოდა, ცნობილი კრიმინალისტი ჩ. ბეკარიაც, რომელიც წერდა: დანაშაულის შემაკავებელი, შემაჩერებელი ერთ-ერთი ყველაზე მოქმედი საშუალება მდგომარეობს არა სასჯელის სისასტიკეში, არამედ მის გარდუვალობაში.[71]

ნეგატიური გენერალური პრევენციის მიმართულია პოტენციური დამნაშავეების მიმართ და მიზანია სასჯელის მუქარით მათი შეჩერება,შეშინება. „ფასი, რომელიც ამა თუ იმ ქმედებისთვის პირმა უნდა გადაიხადოს, მოტივაციას აძლევს მას

---

[67] შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, თბ., 2017, გვ.186

[68] ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013, გვ. 355

[69] ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., გვ. 45

[70] შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, თბ., 2017, გვ.186

[71]ბეკარია ჩ., „დანაშაულისა და სასჯელისათვის“, ი.ხუცურაულის თარგმანი, თბ. 2003წ. გვ. 124, წიგნიდან: ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ, 2016, გვ.62

ჩაიდინოს თუ არა მომავალში ეს ქმედება.“[72] სხვაგვარად, რომ ვთქვათ, პირმა განსაზღვროს რამდენად უღირს მას დანაშაულის ჩადენა. სასჯელის მუქარა, დანიშვნა და აღსრულება საზოგადოებაში უნდა იწვევდეს შიშს, რომლის გამოც მოსახლეობამ დანაშაული არ უნდა ჩაიდინოს.[73] საკონსტიტუციო სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ არ შეიძლება პირის დასჯის მიზანი იყოს მხოლოდ და მხოლოდ სხვა პირების დაშინება, გაფრთხილება და ამ გზით სხვების მიერ იმავე დანაშაულის ჩადენის რისკების მინიმალიზება, ანუ მხოლოდ ზოგადი პრევენცია ვერ იქნება საკმარისი და თვითკმარი პირის მიმართ ნებისმიერი სასჯელის გამოყენებისთვის, რადგან ასეთი მიდგომით ადამიანი გადაიქცევა სახელმწიფოს ხელში საზოგადოების „დაშინების იარაღად“, იძულების ღონისძიების გამოყენების მუქარის შიშველ ობიექტად, რაც გამორიცხულია და დაუშვებელი სამართლებრივ სახელმწიფოში.[74]

ტერმინი ,,ახალი დანაშაულის თავიდან აცილება'' გულისხმობს, რომ მსჯავრდებულმა სასჯელის მოხდის შემდეგ კვლავ არ ჩაიდინოს დანაშაული, ე.ი. საქმე გვაქვს სპეციალურ პრევენციასთან, რომელიც მიმართულია კონკრეტულ პირზე, მსჯავრდებულზე, რომ მომავალში სასჯელის შიშით აღარ ჩაიდინოს დანაშაული. სასჯელის სპეციალური პრევენცია გულისხმობს მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის მეორედ ჩადენის აცდენას, რომელიც მიიღწევა იმით, რომ პირს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის და ხარისხის შესაბამისი სასჯელის შეფარდებით შესაძლებლობა ესპობა ჩაიდინოს ახალი დანაშაული. მაგ. თუ პირს მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა, მისი საზოგადოებისაგან იზოლირებით აცდენილია მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა. სპეციალური პრევენციის მიზანია პირისადმი ინდივიდუალური მიდგომა და მასზე დაშინების და გამოსწორების ზემოქმედების ფორმით ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.[75] სპეციალური პრევენცია იყოფა პოზიტიურ და ნეგატიურ სპეციალურ პრევენციად.

პოზიტიური სპეციალური პრევენციის მიზანია დამნაშავის რესოციალიზაცია, რათა მან აღარ ჩაიდინოს დანაშაული და იგი საზოგადოებაში დაბრუნდეს, როგორც მისი სრულფასოვანი წევრი. რესოციალიზაცია უნდა მოხდეს ისეთი ღონისძიებებით, რომელთა მიზანი იქნება დამნაშავის პიროვნულ განვითარებაში არსებული პრობლემების და სოციალიზაციის ნაკლებობის გამოსწორება.[76]

ნეგატიური სპეციალური პრევენციის მიხედვით, საზოგადოება დაცული უნდა იქნეს გამოუსწორებელი დამნაშავისგან მისი ხანგრძლივი დროით საზოგადოებისგან იზოლაციით, რათა მოხდეს მის მიერ ახალი დანაშაულის

---

[72] შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, თბ., 2017, გვ. 186

[73] ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013, გვ.356

[74] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება #1/4/592 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარალამენტის წინააღმდეგ“II-52

[75] შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, თბ., 2017, გვ.187

[76] შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია , თბ., 2017, გვ. 187

ჩადენის აღკვეთა.[77] ნეგატიური სპეციალური პრევენცია თავის თავში გულისხმობს დამნაშავის შეშინებას, კერძოდ, - სასჯელის რეალური აღსრულება დამნაშავეში ქმნის შიშს იმისა, რომ მის მიერ ამ ქმედების განმეორებას გარდაუვლად მოჰყვება მისი დასჯა, ამ მხრივ, ნეგატიური სპეციალური პრევენცია ემთხვევა ნეგატიური გენერალური პრევენციის იდეურ და მეთოდოლგიურ საწყისებს.

რესოციალიზაცია არ უნდა გავაიგივოთ ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასთან, მათ ორი ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი აქვთ. პირველი არის ის, რომ ახალი დანაშაულის თავიდან აცილება მიმართულია, როგორც მსჯავრდებულთა მიმართ, ასევე, საზოგადოების სხვა, ,,მერყევი წევრების'' მიმართ, ხოლო რესოციალიზაცია კონკრეტულ ადამიანებზეა ორიენტირებული, კერძოდ კი მსჯავრდებულებზე. მეორე განმასხვევებელი ნიშანი ის არის, რომ რესოციალიზაცია ითვალისწინებს მსჯავრდებულის გამოსწორებას, მისი მოქალაქეობრივი შეგნების ამაღლებას და საზოგადოებაში ინტეგრაციას, როგორც სამომავლოდ უსაფრთხოს, ხოლო სასჯელის მიზნის - ახალი დანაშაულის თავიდან აცილების ქვეტექსტი გულისხმობს, რომ მსჯავდებულმა სასჯელის შიშით აღარ გაიმეოროს დანაშაული. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუ დამნაშავის გამოსწორება შეუძლებელია, მაშინ აუცილებელი ხდება დამნაშავის საზოგადოებისგან იზოლაცია. გამოდის, რომ სასჯელის ნეგატიურ კერძო პრევენციას, ერთგვარად, სუბსიდიური ხასიათი აქვს რესოციალიზაციის მიზანთან მიმართებით. ეს ფაქტი კი ხაზს უსვამს რესოციალიზაციის იდეის განხორციელების პრიმატს.

2.5. რესოციალიზაციის მიმართება სამართლიანობის აღდგენასთან

სამართლიანობა იდეალური მდგომარეობაა და წარმოადგენს, როგორც სამართალშემოქმედების, ასევე სამართლის შეფარდების მიზანს. სამართლიანობა არის სამართლის ღირებულებითი მასშტაბი. იგი წინააღმდეგობრივი და მრავალასპექტიანი მოვლენაა. შესაბამისად, შეუძლებელია საყოველთაოდ აღიარებული ცნება არ არსებობს.[78]

სამართლიანობის დანიშნულება სწორედ ისაა, რომ აბსტაქტულად დადგენილი ნორმის საშუალებით საკითხი გადაჭრას არა ყველა მასშტაბის თანაბარი დოზის გამოყენებით, არამედ კონკრეტულის სოციალური პირობებისა და ამ სოციალურ ურთიერთობებში მონაწილე პირთა სხვადასხვა მოთხოვნილების, ინტერესის, შესაძლებლობის და სხვა გარემოებების გათვალისწინებით.[79]

სამართლის თეორიაში განასხვავებენ სამართლიანობის ორ სახეს: 1) განაწილებითი სამართლიანობა და 2) გათანაბრებითი სამართლიანობა. განაწილებითი სამართლიანობა გულისხმობს, რომ სახელმწიფო ცდილობს არსებული სოციალური განსხვავებების გათანაბრებას. გათანაბრებითი სამართლიანობა მოიცავს

[77] ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013, გვ.355

[78] ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ., 2004, გვ.67

[79] დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, გვ. 26

ურთიერთობებს, რომელთაც არა აქვთ იერარქიული სტრუქტურა. გათანაბრებითი სამართლიანობა სახელშეკრულებო სამართლის საფუძველს წარმოადგენს.[80]

სისხლის სამართლის წესით დასჯა სერიოზულ და საჭირო მოქმედებას წარმოადგენს საზოგადოებრივ სოციალური სამართლიანობის აღსადგენად. ამრიგად, „ სახელმწიფო, რომელიც რეალიზაციას უკეთებს თავის უფლებებს, დასაჯოს დამნაშავე, ამასთან აღადგენს ამ დამნაშავის მოქმედებით დარღვეულ სოციალურ სამართლიანობას.“[81] სისხლის სამართალში სამართლიანობის აღდგენა თანაბარ მართლწესრიგში ბალანსის აღდგენასაც ნიშნავს. ამას ისიც ადასტურებს, რომ შეუსაბამო სასჯელის შეფარდების შემდეგ, პიროვნების რეაბილიტაცია ხდება, რადგან სასჯელი თავისი ბუნებით ყოველთვის შემზღუდველია და თუ სამართლიანი სასჯელი მართლწესრიგის აღდგენას ემსახურება, უსამართლო სასჯელი მართლწესრიგს არღვევს.[82]

სასჯელის შინაარსი გარკვეულწილად შეიცავს სამაგიეროს მიზღვის ელემენტებს, მაგრამ სასჯელის არსი სამაგიეროს მიზღვაზე არ დაიყვანება. პიროვნებას ვსჯით,რათა აღდგეს დარღვეული სამართლიანობა, ანუ განხორციელდეს სასჯელის მიზანი სამართლიანობის აღდგენა. განაჩენი უნდა იყოს სამართლიანი. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ინდივიდუალურია. განაჩენის კანონიერებისა და დასაბუთებულობის გარდა, არსებითია ისიც, რომ განაჩენით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომა უნდა იყოს ადეკვატური იმ ქმედებისა, რაც მსჯავრდებულმა ჩაიდინა და სრულად უნდა შეესაბამებოდეს მსჯავრდებულის პიროვნულ თვისებებს, მის პერსონალურ მახასიათებლებს.[83]

„სასჯელის სამართლიანობა, ერთის მხრივ, აკმაყოფილებს საზოგადოებრივ გრძნობას, მართლშეგნებას, რომ დანაშაულის ჩადენით სამართლიანობა აღდგენილია, ხოლო, მეორეს მხრივ, იგი ხელს უწყობს მსჯავრდებულის მხრივ სასჯელისადმი სწორი დამოკიდებულების შემუშავებას.“[84] სამართლიანობის აღდგენის მიზანი გულისხმობს უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგისა და მშვიდი, ჰარმონიული თანაცხოვრების სახელმწიფოს მხრიდან გარანტირებასა და დაცვასთან დაკავშირებით საზოგადოების მოლოდინების დაკმაყოფილებას.[85]

ზოგიერთი ავტორი უარჰყოფს სამართლიანობის აღდგენას, როგორც სასჯელის მიზანს. ისინი სასჯელს მხოლოდ პრევენციულ მიზანს უსახავენ და მიიჩნევენ, რომ შეუძლებელია სამართლიანობის აღდგენის მიზანის კანონში დაფიქსირება,

---

[80] ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ., 2004, გვ.67

[81] ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ., 2016, გვ. 57

[82] დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, გვ. 28.

[83] საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, რედ. მ. მამნიაშვილი, ჯ. გახოკიძე, ი. გაბისონია, თბ., 2012, გვ. 332.

[84] . ნაჭყებია გ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ. 102

[85] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება #1/4/592 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარალამენტის წინააღმდეგ“ II-45

რადგან შეუძლებელია ამ მიზნის მიღწევის ხარისხის გაზომვა.[86] თუ დავუშვებთ ამ მოსაზრებას და მიზნის მიღწევის ხარისხის გაზომვის შესაძლებლობზე ვიმსჯელებთ, გამოვა, რომ ამ კრიტერიუმს ყველა შემთხვევაში ვერც ახალი დანაშაულის თავიდან აცილება აკმაყოფილებს, რადგან შეუძლებელია განსაზღვრო მაგალითად, რამდენმა ადამიანმა არ ჩაიდინა დანაშაული სასჯელის მუქარით. ამიტომ მიმაჩნია, რომ სამართლიანობის აღდგენა სამართლიანადაა მიჩნეული სასჯელის მიზნად.

ვ. დუიუნოვის აზრით, აღნიშნული მიზნის კანონმდებლობაში საჯაროდ გამოცხადება წარმოადგენს კანონმდებლის მიერ სამაგიეროს მიზღვის, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზნის, ოფიციალურ აღიარებას. ავტორი არ ეთანხმება არც ტერმინ „სამართლიანობის აღდგენას“. ის ფიქრობს, რომ „დანაშაულის წინ“ არსებული ყველა ურთიერთობა არ შეიძლება იქნას დახასიათებული, როგორც სამართლიანი და, აქედან გამომდინარე, ისინი არ ექვემდებარება აღდგენას. მაგ: ქმარი სისტემატურად „ატერორებს” ოჯახს და ამის გამო ცოლი კლავს მას. შეიძლება თუ არა მსგავსი ცხოვრებისეული სიტუაცია, რომელიც დანაშაულის ჩადენის წინ წარმოიქმნება მივიჩნიოთ სამართლიანად? რომელი სამართლიანობა უნდა აღადგინოს ამ შემთხვევაში სასჯელმა? გვეკითხება ავტორი და იქვე გვთავაზობს რომ „სამართლიანობის აღდგენა“ შეიცვალოს „სამართლიანობის დამტკიცებით“ ან „მოქალაქეთა სამართლიანობის გრძნობის დაკმაყოფილებით“. [87] სამართლიანობა, როგორც მიზანი, გულისხმობს, ამ ქმედებაზე სასჯელის ადეკვატურობას, საკონსტიტუციო სასმართლომ აღნიშნა, რომ სამართლიანობის აღდგენის ფუნქცია რეალიზებადია მხოლოდ კონკრეტული დანაშაულის თანაზომიერი სასჯელის გამოყენებისას და სწორეს ამ გზით ემსახურება სასჯელის მიზნების რეალიზების შესაზლებლობას, მაგალითად, არაპროპორციული, არათანაზომიერად მკაცრი სასჯელი ხელს უშლის, ზოგჯერ კი სრულად გამორიცხავ რესოციალიზაცია, შედეგად,ეწინააღმდეგება სასჯელით მისივე მიზნების, ფუნქციების განხორციელების მიღწევის შესაძლებლობას.[88]

მართალია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლი (სასჯელის მიზნების ჩამონათვალი) პირველ ადგილზე აყენებს სამართლიანობის აღდგენას, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ სამართლიანობის აღდგენა სასჯელის უმთავრესი მიზანია. პროფ. ი. დვალიძის მიუთითებს, რომ თუნდაც სასჯელის ნებისმიერი სხვა მიზანი აღსრულდეს, სასჯელი თავის ფუნქციურ დატვირთვას ვერ შეასრულებს, თუ სამართლიანობა არ აღდგა, [89] რა თქმა უნდა სამართლიანობის

---

[86] ქათამაძე მ., „ სამართლიანობის აღდგენა, როგორც სასჯელის მიზანი“, სამართალი, თბ., 2000, #10,11,12, გვ.140

[87]В. К. Дуюнов. Механизм уголовно-правового воздействия теоретические основы и практика реализации. дисс. докт. Юрид. Наук. Тольяти 2001 с. 162

[88] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება #1/4/592 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარალამენტის წინააღმდეგ“ II-46

[89] დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელები და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, გვ.25

აღდგენა სასჯელის ერთ-ერთი მიზანია და მისი უგულებელყოფა დაუშვებელია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი სასჯელის უპირველესი მიზანია.

მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, სასჯელის სხვა მიზნებისგან განსხვავებით მრავალ ასპექტს მოიცავს. თუ არ იქნა მიღწეული მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, რომელიც ფაქიზ მიდგომას მოითხოვს, სასჯელის დანარჩენი მიზნები აზრს დაკარგავს. საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლში განსაზღვრული სოციალური სახელმწიფოს პრინციპი სასჯელის მიზნებთან მიმართებით გულისხმობს, რომ სასჯელის თითოეული მიზანი, საბოლოო ჯამში, სწორედ მსჯავრდებულის რესოციალიზაციას უნდა იწვევდეს.[90] სამართლიანობის აღდგენასთან შედარებით, რომელიც მეტად აბსტრაქტულია და კონკრეტიზირდება სხვადასხვა იურიდიულ ასპექტში, დამნაშავის რესოციალიზაცია მეტად კონკრეტულია და იგი მიმართულია პირდაპირ მიზანზე - გამოასწოროს დანაშაულის ჩამდენი პირი.

მსჯავრდებულის რესოციალიზაცია ხანგრძლივი პროცესია. იგი იწყება სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთანავე, რესოციალიზაციის მეორე ეტაპი იწყება სასჯელის მოხდის შემდეგ. სამართლიანობის აღდგენა, როგორც მიზანი მთავრდება და აღსრულდება , სასამართლოს მიერ სასჯელის შეფარდებით, ხოლო რესოციალიზაცია უწყვეტად მიედინება. იგი ორიენტირებულია დამნაშავის პიროვნებაზე, როცა სამართლიანობის აღდგენა აქცენტს დაზარალებულზე აკეთებს. რესოციალიზაცია ხანგრძლივ ეფექტს იძლევა და საზოგადოებას თავიდან აარიდებს განმეორებით დანაშაულს, ხოლო სამართლიანობა მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაზე ორიენტირდება, მას სამომავლო პერპექტივები არ გააჩნია.

თავი III. ალტერნატიული სასჯელების მნიშვნელობა რესოციალიზაციისთვის

დანაშაულის პრევენცია არის სახელმწიფო და კერძო სექტორების მონდომება დანაშაულის ჩადენის აღსაკვეთად და რეპრესიული ღონისძიებებით განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილება.[91] დანაშაულის ჩადენის შემდგომ პერიოდს ეხება მესამე დონის პრევენცია, მისი მიზანია დამნაშავე პირი მიმართ ისეთი ღონისძიებების გატარება, რომელიც 1. ხელს შეუწყობს მის გამოსწორებას და 2. საზოგადოებას თავიდან ააცილებს განმეორებით დანაშაულს. კლასიკურ სასჯელთა გვერდით გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი სასჯელები, რომლებიც ხელს შეუწყობს დამნაშავის რესოციალიზაციას, მის გამოსწორებას.[92]

სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელები პირობითად ორ ჯგუფად იყოფა: ა) სასჯელები, რომლებიც დაკავშირებულია თავისუფლების

[90] ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ., 2016, გვ. 85
[91] შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, თბ., 2017, გვ. 181
[92] შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, თბ., 2017, გვ. 181

აღკვეთასთან, როგორიცაა ვადიანი ან უვადო თავისუფლების აღკვეთა; ბ) სასჯელები, რომლებიც არ უკავშირდება თავისუფლების აღკვეთას, კერძოდ, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, ჯარიმა, გამასწორებელი სამუშაო. ეს უკანასკენელი საპატიმრო სასჯელების ალტერნატივას წარმოადგენენ და მათ ალტერნატიულ სასჯელებს უწოდებენ.[93]

არასაპატიმრო სასჯელები ეფექტურია იმ კუთხით, რომ მსჯავრდებულს ეძლევა თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული გზა, ასევე გარე სამყაროსთან ურთიერთობის შესაძლებლობა. ალტერნატიული სასჯელი ნიშნავს ალტერნატივას, შანსს მსჯავრდებულისთვის გამოასწოროს დაშვებული შეცდომა ისე რომ შეინარჩუნოს საზოგადოებრივი აქტიურობა.[94] „ისინი ზღუდავენ მოკლე პატიმრობის გამოყენებას და ამ პროცესში საზოგადოების ჩართულობას განაპირობებენ“[95], რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რესოციალიზაციისთვის.

ქვეყნების უმრავლესობა ორიენტირებულია ისეთი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბებაზე, რომელიც მოიცავს სამართლიანობას - მსხვერპლისთვის, უსაფრთხოებას - საზოგადოებისთვის და რეაბილიტაციას - დამნაშავეებისთვის. მთავარ გამოწვევებს წარმოადგენს პატიმრობის თავიდან აცილება საშუალო სიმძიმის დამნაშავეთა კატეგორიისთვის, როდესაც ამის აუცილებლობა არ არსებობს; საზოგადოებაზე დაფუძნებული ისეთი სასჯელების დანერგვა, რომელიც ამ რანგის დამნაშავეებისთვის პატიმრობის საუკეთესო ალტერნატივას წარმოადგენს.[96]

მსჯავრდებულთა მიერ დანაშაულის ხელახლა ჩადენის რისკი არსებობს, ამიტომ მნიშვნელოვანია ამ რისკის მინიმუმადე დაყვანა, რაც, პირველ რიგში, სწორად შერჩეული სასჯელით მიიღწევა. „ჩვენი კანონმდებელი გვთავაზობს სასჯელის ისეთ კონცეფციას ,რომელიც აწესებს სასჯელის შეფარდების შეზღუდვას მინიმალური ინტერვენციის პრინციპის სასარგებლოდ, ამიტომ მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სასჯელთა უფრო ხშირად გამოყენება, რომელბიც არ არიან დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.“[97]

პროკურორთა ნაწილი თვლის,რომ ალტერნატიული სასჯელები უფრო ეფექტურია მსჯავრდებულის რესოციალიზაციისა და დანაშაულის პრევენციისთვის,[98] მსჯავრდებულისთვის ალტერნატიულ სასჯელს შემაკავებელი ხასიათი აქვს , ის აგრძელებს ცხოვრებას და საქმიანობას საზოგადოების სხვა

---

[93]სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო , რედ. გ.ნაჭყებია, ნ.თოდუა, მესამე გამოცემა, თბ., 2018, გვ.486

[94] შალიკაშვილი მ., ალტერნატიული სასჯელების კვლევა საქართველოში, მზია ლეკვეიშვილი-85, საიუბილეო კრებული, თბ., 2014, გვ.88

[95] ივანიძე მ., ალტერნატიული სასჯელები,(შედარებითი ანალიზი), მზია ლეკვეიშვილი-85, საიუბილეო კრებული, თბ., 2014, გვ.23

[96] არასაპატიმრო სანქციების გამოყენების ხელშეწყობა სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში, კვლევის ანგარიში, ციხის საერთაშორისო რეფორმა, თბ., 2015, გვ. 2.

[97] ლეკვეიშვილი მ., სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, მართლმსაჯულება და კანონი, #4 (43), 14. გვ. 26

[98] შალიკაშვილი მ., ალტერნატიული სასჯელების კვლევა საქართველოში, მზია ლეკვეიშვილი-85, საიუბილეო კრებული, თბ., 2014, გვ.92

წევრებთან ერთად, შესაბამისად, ალტერნატიული სასჯელის გამოყენებას ორმხრივი დადებითი ეფექტი აქვს,ერთი მსჯავრდებულისთვის და მეორე საზოგადოებისთვის.

თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებულია გაიღოს მსჯავრდებული ციხის პირობებში შენახვის ხარჯები, ხოლო ციხიდან გამოსვლის შემთხვევაში დახარჯოს მატერიალური რესურსი მის საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის. დანაშაულის დასჯა და მთელი სისტემა, რომელიც ამას ემსახურება, მოითხოვს დიდ ფინანსურ რესურსებს, დროსა და ენერგიას. ასეთ სისტემას დიდი ხარჯები და ბევრი მსხვერპლი ახასიათებს.[99] ამიტომ სამართლის ნორმის ეკონომიკური ანალიზიც უპირატესობას ანიჭებს ალტერნატიული სასჯელების გამოყენებას.[100]

ალტერნატიული სასჯელების გამოყენების ერთ-ერთი პრობლემას წარმოადგენს ის, რომ მისი გამოყენება კანონის თანახმად, შესაძლებელია ნაკლებად მძიმე დანაშაულზე, ამ კატეგორიის საქმეების უმრავლესობა კი მთავრდება საპროცესო შეთანხმებით.[101]

საბოლოოდ, ალტერნატიული სასჯელების ეფექტურის ძირითადი განმსაზღვრელი გარემოებებია : 1. ხელს უწყობს მსჯავრდებულის რესოციალიზაციას, 2. არ ხდება მსჯავრდებულის საზოგადოებისგან იზოლირება, 3. სახელმწიფო თავიდან აიცილებს ციხის პირობებში მსჯავრდებულის შენახვის ხარჯებს, 4. არ ხდება მსჯავრდებულის „ნაციხარად“ ეტიკეტირება.

პროფ. მორის შალიკაშვილი ალტერნატიულ სასჯელების გამოყენებასთან დაკავშირებით რამდენიმე გარემოებას გამოჰყოფს, ესენია : ა) მსჯავრდებულთა უნარ-ჩვევებს, ბ)მენტალობის პრობლემას, გ) არასაკმარისი სერვისების ქონას, დ) მსჯავრდებულთა განათლების დაბალ დონეს, ე) მსჯავრდებულთა სტიგმატიზირებას, ვ) ნასამართლობას და მისგან გამოწვეულ შეზღუდვებს, ზ) ქართული ფირმებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ნაკლებ აქტიურობას სერვისების შემოთავაზების თვალსაზრისით.[102] იმისათვის, გამოვიყენოთ ალტერნატიული სასჯელები, ისე, რომ მას გააჩნდეს რესოციალიზაციის მიღწევის შესაძლებლობა, ყველა ეს პირობა უნდა არსებობდეს. განვიხილოთ ალტერნატიული ღონისძიებები.

3.1.საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა

საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა გულისხმობს მსჯავრდებულის უსასყიდლო შრომას. სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად,

---

[99] H.L.A. Hart, Punishment and pesponsibility, Essayes in the philosophy of Law, second edition, OXFORD University Press, 2008, 1

[100] შალიკაშვილი მ., ალტერნატიული სასჯელების კვლევა საქართველოში, მზია ლეკვეიშვილი-85, საიუბილეო კრებული, თბ., 2014, გვ.96

[101] შალიკაშვილი მ., ალტერნატიული სასჯელების კვლევა საქართველოში, მზია ლეკვეიშვილი-85, საიუბილეო კრებული, თბ., 2014, გვ.95

[102] სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გურამ ნაჭყებია, ნონა თოდუა, მესამე გამოცემა, თბ., 2018, გვ. 505

საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა ინიშნება ორმოციდან რვაას საათამდე ვადით. იგი შეიძლება დაინიშნოს, როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. ჯარიმის საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის შემთხვევაში ანდა თუ მხარეთა შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება შეიძლება დაინიშნოს უფრო მეტი ვადითაც. ყოველდღიურად შრომის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს რვა საათს. თუ მსჯავრდებული უარს განაცახდებს ან თავს აარიდებს მას, ეს სასჯელი შეიცვლება ჯარიმით, შინაპატიმრობით ან თავისუფლების აღკვეთით.

უპირატესობა, რაც საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას განასხვავებს სხვა სასჯელებიდან, არის რესოციალიზაციის უკეთესი პერსპექტივა და სასჯელის ეკონომიის პრინციპი. „ციხეების გადატვირთულობის გამო „პიროვნებაზე დაწესებულმა მეთვალყურეობამ მას უნდა შეუქმნას თავისუფლების აღმკვეთი ილუზია“, ასე იქმნება ახალი პენოლოგია ზედამხედველობასა და დასჯას შორის,მისი ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი კი საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომაა.“[103] ევროპის ქვეყნებში იგი საზოგადოებრივი სასჯელის ყველაზე მკაცრ ფორმად მიიჩნევა.

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1992 წლის 19 ოქტომბერს მიღებული „ევროპული წესები საზოგადოების სანქციებისა და ზომების შესახებ“ მიიჩნევს, რომ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, ეს არის გამასწორებელი, პოზიტიური და ე.წ თერაპიული სანქცია. მისი აქტიურად გამოყენების მიზეზია ის, რომ ყველა ქვეყანაში რაც შეიძლება ნაკლები პატიმარი იყოს და არ მოხდეს მათი საზოგადოებისგან გარიყვა. ამასთან, მსჯავრდებულის შრომა წარმოადგენს დიდ შრომით რესურსს, როგორც სახელმწიფო, ისე არაკომერციული ორგანიზაციებისთვის.[104]

საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას ზუსტად განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს: კერძოდ, დამნაშავის ამგვარი საქმიანობა საზოგადოებას აუნაზღაურებს მიყენებულ ზიანს და იმავდროულად უზრუნველყოფს მსჯავრდებულის რეინტეგრაციას საზოგადოებაში.[105]

საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დანიშვნის შემთხვევაში ამ პროცესების გამჭირვალობის თვალსაზრისით, მიზანშეწონილია საზოგადოების წევრების ჩართვა, რათა დამნაშავის მხრიდან მეტად იყოს უზრუნველყოფილი სამუშაოს შესრულების შესაძლებლობები.[106] სასამართლოს სჭირდება სანდო ინფორმაცია იმის

---

[103] ხერხეულიძე ი, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა- არასაპატიმრო სახის სასჯელთა შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო აგენტი (საქართველოსა და აშშ-ს სისხლისამართლებრივი მიდგომის შედარებითი ანალიზი). მართლმსაჯულება და კანონი, #2 (29) 11, გვ. 119

[104] ივანიძე მ., ალტერნატიული სასჯელები,(შედარებითი ანალიზი), მზია ლეკვეიშვილი-85, საიუბილეო კრებული, თბ., 2014,გვ. 28

[105] პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, თბ., 1999, გვ. 432

[106] სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, მესამე გამოცემა, თბ., 2018, გვ. 498

შესახებ, რომ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ხელმისაწვდომია სათანადო ზედამხედველობის ქვეშ, ასეთი შრომა მოითხოვს მკაცრ მეთვალყურეობას.[107]
რაც შეეხება საკითხს, შრომის რა სახე უნდა იყოს გამოყენებული, რეკომენდებულია იგი არ იყოს დაკავშირებული მსჯავრდებულის ძირითად საქმიანობასთან, რითაც ეს სარგებელს იღებს. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ნაკლებეფექტური იქნება.[108]

სასარგებლო შრომა არ გულისხმობს ისეთი სამუშაოს შესრულებას, რომელიც ადამიანის ფიზიკურ ტანჯვას იწვევს ან ღირსების შემლახველია. იგი შეიძლება გამოიხატოს სკვერების დალაგებაში, მცენარეთა დარგვაში, სამშენებლო სამუშაოების წარმოებაში და ა.შ.[109] შრომის სახე მსჯავრდებულის ცხოვრების რიტმზე უნდა იყოს მორგებული.

მნიშვნელოვანია მოხდეს ისეთ სამუშაოებზე გადანაწილება, რომლებიც სარეაბილიტაციო შედეგის მომტანია. მაგ. თბილისში მსჯავრდებული სადილით უმასპინძლდება მოხუცებსა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს დღის ცენტრში, ასეთი სამუშაოებისთვის ისინი იღებენ მნიშნელოვან პატივისცემას, რაც დადებითად მოქმედებს მათ თვითშეფასებაზე და აღვივებს კმაყოფილების გრძნობას, რომ მათ შესწევთ უნარი, დაეხმარონ სხვას.[110]

საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, როგორც სასჯელის გამოყენება, 2014 წლის მანძილზე მოხდა 484-ჯერ .ეს შეადგენს მთლიანი სასამართლო გადაწყვეტილებების 3.2%-ს. ევროპის მაჩვენებელი 2014 წელს 8%-ს შეადგენდა. როგორც მოცემული მაჩვენებლებიდან ჩანს, ევროსასამართლო საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას ორმაგად და უფრო ხშირადაც იყენებს, ვიდრე სასამართლოები საქართველოში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ იმ დამნაშავეთა პროპორციული რაოდენობა, რომლებსაც ენიშნებათ საპატიმრო სასჯელი, უფრო მაღალია საქართველოში, ვიდრე ევროპაში. ეს კი ის ფაქტია, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს იმაზე, რომ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა არ გამოიყენება ციხის ალტერნატივად.[111]

2017 წელს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა გამოყენებულ იქნა 1352 შემთხვევაში, რაც სასამართლო გადაწყვეტილებების 9,3%-ს შეადგენს. ხოლო 2018 წელს სასჯელის სახედ განისაზღვრა 895-ჯერ, რაც მთლიანი სასამართლო გადაწყვეტილებების 5,6%-ია.[112] მართალია, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას

---

[107] United Nations Office On Drugs And Crime, Vienna, Handbook of basic principles and promising practices on alternatives to Imprisonment, 2007, p.35

[108] დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელები და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, გვ.49

[109] სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი,სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, მესამე გამოცემა, თბ., 2018, გვ.497

[110] არასაპატიმრო სანქციების გამოყენების ხელშეწყობა სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში კვლევის ანგარიში,ციხის საერთაშორისო რეფორმა, თბ., 2015, გვ. 26.

[111] არასაპატიმრო სანქციების გამოყენების ხელშეწყობა სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში კვლევის ანგარიში,ციხის საერთაშორისო რეფორმა, თბილისი,2015, გვ. 26-27.

[112] http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2018w-statistic-4.pdf

შეფარდების წლიურად ზრდადობის დინამიკა ჯერჯერობით შენარჩუნებული არ აქვს, მაგრამ ის ფაქტი, რომ მისი გამოყენების მაჩვენებელმა მოიმატა, დადებითად უნდა შეფასდეს.

გაცილებით აღემატება ყოველწლიურად ჯარიმის გამოყენების რაოდენობა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისას, მაგ. 2018 წელს მათ შორის 14,6% -იანი სხვაობაა მათი შეფარდების მაჩვენებლებს შორის,[113] ამ ორ ალტერნატიულ სასჯელთა შორის რესოცილიზაციის შესაძლებლობით, ვფიქრობ, პრიორიტეტი შრომას ენიჭება, ვინაიდან ჯარიმა მატერიალურ დანაკარგზეა ორიენტირებული, ხოლო საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის შემთხვევაში არის მატერიალური ზიანიც, კერძოდ, შრომობს , მაგრამ უფასოდ, თუმცა გამოიკვეთება სხვა ასპექტებიც. ამიტომ მნიშვნელოვანია გაიზარდოს მისი გამოყენების მაჩვენებლები და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას მიენიჭოს პრიორიტეტი.

2014 წელს პრობაციის ეროვნულ სააგენტოში აღსასრულებლად შემოვიდა 1228 საქმე და დაასრულა 1056,[114] ხოლო 2017წელს პრობაციის ეროვნულ სააგენტოში აღსასრულებლად შემოვიდა 2777 საქმე და აღსრულდა 2660 . პირობით მსჯავრდებულთათვის სასჯელის სახით დანიშნული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსასრულებლად, პრობაციის ეროვნული სააგენტო, სამუშაო ადგილების გამოყოფის მიზნით, მჭიდროდ თანამშრომლობს სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოებთან, აგრეთვე კერძო სტრუქტურებთან.[115] რაც წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს, მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა სასამართლოების მიერ უფრო ხშირად გამოიყენებოდეს, ამით საზოგადოებაზე რესოციალიზაციის ეფექტი უფრო შესამჩნევი გახდება.

3.2. ჯარიმა

სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ჯარიმა ფულადი გადასახდელია, რომლის მინიმალური ოდენობაა 2000 ლარი, ხოლო თუ ჩადენილი დანაშაული სასჯელის სახედ ითვალისწინებს სამ წლით თავისუფლების აღკვეთას, მაშინ ჯარიმის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები. ჯარიმის ოდენობის მინიმუმი განსაზღვრულია, ხოლო მაქსიმუმი არ არის მითითებული. ჯარიმის დანიშვნისას გაითვალისწინება დანაშაულის სიმძიმე და მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობა. ჯარიმა უნდა შეესაბამებოდეს მსჯავრდებულის ეკონომიკურ შესაძლებლობებს. იგი ინიშნება, როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. თუ მსჯავრდებული თავს აარიდებს ჯარიმის გადახდას, ეს სასჯელი შეიცვლება საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით, გამასწორებელი სამუშაოთი, შინაპატიმრობით ან თავისუფლების აღკვეთით. მოქმედი კანონმდებლობით ჯარიმა

[113] http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2018w-statistic-4.pdf
[114] http://www.probation.gov.ge/admin/editor/uploads/files/2014_angarishi.pdf
[115] http://probation.moc.gov.ge/admin/editor/uploads/files/probacia%20angarishi%202017.pdf

დამატებით სასჯელად შეიძლება დაინიშნოს იმ შემთხვევაშიც, თუ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული არ არის, გარდა ოჯახში ძალადობისა. აღნიშნული ჩანაწერი ჯარიმის გამოყენების საზღვრებს მნიშვნელოვნად აფართოებს.

ჯარიმა, როგორც ეფექტური სასჯელის სახე მთლიანად ეხმიანება სასჯელის გარდუვალობის პრინციპს, მსჯავრდებულს უნდა დაენიშნოს მისი ქმედების შესაბამისი, პროპორციული და სამართლიანი სასჯელი.[116]

ჯარიმის დაკისრებისას, პირი სახელმწიფოს უხდის გარკვეულ თანხას განსაზღვრული უპირატესობის მიღების მიზნით, აღნიშნულს წარმოადგენს ის,რომ არ მოთავსდება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და დაეხმარება სახელმწიფოს მისი შენახვის ხარჯების საპირისპიროდ.[117] გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში მითითებულია, რომ . ,,ფულადი ჯარიმა ყველაზე გავრცელებული სასჯელია და იგი 80%-ზე მეტ შემთხვევაში გამოიყენება. ჯარიმის უპირატესობაა ის, რომ არ ხდება მსჯავრდებულის სოციალური იზოლაცია.“[118]

ჯარიმა ეფექტურია რამდენიმე გარემოების გამო: 1. არ ხდება მსჯავრდებულის საზოგადოებისგან იზოლაცია. 2. არ იხარჯება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მსჯავრდებულის შენახვის ხარჯები, 3. სახელმწიფო იღებს მატერიალურ სარგებელს, 4. ჯარიმა გარკვეულწილად ეკონომიკურად ასუსტებს მსჯავრდებულის, რაც პრევენციულადაც მოქმედებს მასზე.[119]

მონტესკიე ფულად სასჯელებზე მსჯელობისას მიუთითებდა, რომ „გერმანები მხოლოდ ფულად სასჯელებს უშვებდნენ, ხოლო იაპონელები პირიქით, სასჯელის ამ ფორმას იმ მოტივით უარყოფდნენ, რომ მდიდრები თავს დააღწევდნენ სასჯელს. განა ფულადი სასჯელი არ შეიძლება ქონების პროპორციული იყოს?“[120] სწორედ ამიტომ ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს პირი ეკონომიკური მდგომარეობა, მისი შემოსავალი, ოჯახური მდგომარეობა და პირველ რიგში, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და ხასიათი. ისე უნდა განსაზღვროს ოდენობა, რომ შეინარჩუნოს სასჯელის ზემოქმედება.

მომზადებულია საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს ჯარიმის გადახდას დღიურად. დღიური ჯარიმის ძირითადი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ჯარიმის ოდენობა იანგარიშებოდეს ორ კომპონენტად: პირველი - დანაშაულის სიმკაცრისთვის და მეორე- დამნაშავის ფინანსური მდგომარეობისთვის რაოდენობის რეგულირება. ამ მიდგომის მიზანია, რომ ჯარიმას ჰქონდეს თანმიმდევრული ზემოქმედება მდიდარსა და ღარიბზე.[121]

---

[116] სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, მესამე გამოცემა, თბ., 2018, გვ.487

[117] პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, თბ., 1999, გვ.426

[118] ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ., 2016, გვ. 121

[119] დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, გვ.42-43

[120] სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, მესამე გამოცემა , თბ., 2018, გვ.491

[121] Hillsman S.T. Fines and Day Fines, Crime and Justice,Vol.12, 1990, გვ. 76

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ჯარიმა 2016 წელს სასამართლომ მიუსაჯა 3568 მსჯავრდებულს ანუ 22,8%-ს, 2017 წელს შეეფარდა 3079 პირს, რაც საერთო რაოდენობის 21,2%-ია, 2018 წელს 3207 პირს, რაც მთლიად მსჯავრდებულთა 20,2%-ს შეადგენს.[122] როგორც მონაცემები გვიჩვენებს, ჯარიმა სასჯელის აქტიურ სახეს წარმოადგენს საქართველოში, ბოლო წლებში იგი გამოყენების თვალსაზრისით, მხოლოდ თავისუფლების აღკვეთას და პირობით მსჯავრს ჩამორჩება.

გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში მითითებულია, რომ რეციდივის სტატისტიკის თანახმად, ფულად ჯარიმას სპეციალური პრევენციის თვალსაზრისით აქვს საუკეთესო შედეგი. მაშინ, როდესაც თავისუფლების აღკვეთის მოხდის შემთხვევაში, სპეციალურპრევენციული ზემოქმედება არაეფექტურია[123] სამწუხაროდ, საქართველოში არ გვაქვს ჯარიმაზე რეციდივის სტატისტიკა, თუმცა შესაბამის დანაშაულზე გამოყენებითა და ინდივიდუალიზირებული ოდენობით მას შეუძლია რეციდივის თავიდან აცილება რესოციალიზაციის მიღწევით.

3.3. გამასწორებელი სამუშაო

სისხლის სამართლის კოდექსის 45-ე მუხლის თანახმად, გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნისას მსჯავრდებულის ხელფასიდან სახელმწიფოს შემოსავალში დაიქვითება თანხა განაჩენით დადაგენილი ოდენობით არანაკლებ ხუთისა და არაუმეტეს ოცი პროცენტისა. გამასწორებელი სამუშაო ინიშნება ერთი თვიდან ორ წლამდე ვადით და მოხდილი უნდა იქნეს მსჯავრდებულის სამუშაო ადგილზე. თუ მსჯავრდებული განზრახ თავს აარიდებს გამასწორებელ სამუშაოს, ეს სასჯელი შეიცვლება შინაპატიმრობით ან თავისუფლების აღკვეთით.

გამასწორებელი სამუშაო თავისი ბუნებით კომპლექსური ხასიათისაა და იგი თავის თავში მოიცავს ჯარიმისა და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის თვისებებს.[124] ჯარიმასა და გამასწორებელ სამუშაოს შორის განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ჯარიმის შემთხვევაში მსჯავრდებული უშუალოდ იხდის თანხას სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო გამასწორებელი სამუშაოს დროს დაქვითვა მისი ხელფასიდან ხდება. მათ შორის მსგავსებას რაც შეეხება, ორივე შემთხვევაში მსჯავრდებული დასაქმებულია, განსაზღვრულ სამუშაოს ასრულებს, მაგრამ თუ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა უსასყიდლო შრომას გულისხმობს, გამასწორებელი სამუშაოს დროს მსჯავრდებულის შრომა ანაზღაურდება, თუმცა იგი უსასყიდლო შრომის ხასიათსაც ატარებს, იმ თვალსაზრისით, რომ მსჯავრდებული სრულად ვერ იღებს ხელფასს და გარკვეული პროცენტით თანხა იქვითება.[125]

---

[122] http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2018w-statistic-4.pdf

[123] ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ., 2016, გვ. 121

[124] სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, მესამე გამოცემა, თბ., 2018, გვ.503

[125] ცქიტიშვილი თ., სასჯელის პროპორციულობა, წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016, გვ.553

არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში პრობაციის ბიუროს, მსჯავრდებულს, დამსაქმებლის ადმინისტრაციას, სადაც მსჯავრდებული მუშაობს უფლება აქვს შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს მსჯავრდებულის ხელფასიდან დასაქვითი თანხის შემცირების თაობაზე. აღნიშნულით კანონმდებლობა ითვალისწინებს მის ეკონომიკურ მდგომარეობას და პროპორციულ სასჯელს განუსაზღვრავს, რაც სასჯელის ინდივიდუალიზაციის განხორციელებას წარმოადგენს.

აღნიშნული სასჯელის ეფექტურობაზე მნიშვნელოვან გავლენას მსჯავრდებულის სურვილიც ახდენს. „მისი შეგნებით დამამცირებელი არ უნდა იყოს საკუთარი შრომით და მიღებული შემოსავლით სასჯელის მოხდა."[126]

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, გამასწორებელი სამუშაო 2017 წელს საერთოდ არ გამოყენებულა, ხოლო 2018 წელს მხოლოდ ერთ მსჯავრდებულს შეეფარდა, რაც საერთო რაოდენობის მხოლოდ 0,01%-ს შეადგენს.[127] პრაქტიკულად სასჯელის ამ სახის გამოყენება არ ხდება, მაშინ როცა მასთან ახლოს მდგომი ჯარიმა აქტიურ სახეს წარმოადგენს, აღნიშნული განპიროებებულია ერთის მხრივ იმით, რომ ჯარიმა თითქმის ყველა დანაშაულზე შეიძლება გამოიყენონ, ხოლო გამასწორებელი სამუშაო მხოლოდ მუხლით გათვალისწინებულზე, ასევე გამასწორებელ სამუშაოს სავალდებულო განგრძობადი ხასიათი აქვს ჯარიმისგან განხვავებით. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჯარიმის დაკისრება საზოგადოებისთვის შესაძლოა, ცნობილი არ იყოს და ამას მსჯავრდებულისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ხოლო გამასწორებელი სამუშაოს გამოყენებისას ინფორმირებულია დამსაქმებელი ორგანიზაცია. იმისათვის, რომ გაიზარდოს ამ სასჯელის სახის გამოყენება, მნიშვნელოვანია, თავიდან იქნას აცილებული მსჯავრდებულის სტიგმატიზირება, უნდა გააქტიურდეს საზოგადოება და შეიცვალოს მათი დამოკიდებულება, უნდა არსებობდეს შესაბამისი სერვისები.

როგორც აღინიშნა, სასჯელის ინსტიტუტში თავმოყრილია იდეები, რომლებიც მკაცრი სასჯელების გამოყენების შემცირების შესაძლებლობას იძლევიან. სასამართლომ უნდა გამოიყენოს გონივრული ალტერნატივა და ცალკეულ შემთხვევებში თავისუფლების აღკვეთა შეცვალოს სხვა არასაპატიმრო სასჯელით.[128] ხოლო თუ ეს შეუძლებელია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით გამოიყენოს თავისუფლების აღკვეთა.

---

[126] სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, მესამე გამოცემა, თბ., 2018, გვ. 505

[127] http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2018w-statistic-4.pdf

[128] მ.ლეკვეიშვილი. სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, მართლმსაჯულება და კანონი, #4 (43), 14. გვ. 32

თავი IV. თავისუფლების აღკვეთა

თავისუფლების აღკვეთა ნიშნავს მსჯავრდებულის საზოგადოებისგან იზოლაციას და მის მოთავსებას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. სასჯელის ეს სახე დღემდე რჩება კოდექსებში ყველაზე ხშირად გათვალისწინებულ სასჯელად უფრო მძიმე დანაშაულებისთვის. თავისუფლების აღკვეთა გათვალისწინებულია ყველა კანონმდებლის მიერ, რადგან მოცემულ მომენტში და სამომავლოდაც მხოლოდ ის უზრუნველყოფს „ბოროტმოქმედთა ნეიტრალიზებას".[129]

მოსამართლე თავისუფლების აღკვეთას ნიშნავს დანაშაულის სიმძიმისა და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით. ეს ხდება სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპზე დაყრდნობით, როცა სასამართლო მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულის გამოსწორება უფრო მსუბუქი სასჯელით შეუძლებელია. თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ უფრო მსუბუქი სასჯელით ვერ უზრუნველყოფს პირის რესოციალიზაციას, მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩათვლის საჭიროდ სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთის გამოყენებას.[130] თავისუფლების აღკვეთა უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში, მაშინ, როცა დანაშაულის სიმძიმე სხვა სანქციების გამოყენებას არაეფექტურად წარმოაჩენს.[131]

თავისუფლების აღკვეთა შეიძლება იყოს ვადიანი და უვადო. სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს ექვსი თვიდან 20 წლამდე ვადით. დანაშაულთა ერთობლიობისას რეციდივის შემთხვევაში ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ოცდაათ წელს, ხოლო განაჩენთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ოცდათხუთმეტ წელს.

სტატისტიკის თანახმად, თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი მხოლოდ პირობით მსჯავრისას ჩამორჩება, თავისუფლების აღკვეთა ყველაზე ხშირად გამოყენებადი სასჯელია. 2016 წელს თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა მსჯავრდებულთა 24,5 %-ს, ისევე როგორც 2017 წელს, 2018- ში კი აღნიშნულმა ნიშნულმა 25% შეადგინა.[132]

4.1. მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, თავისუფლების აღკვეთის მინიმალური ვადა განსაზღვრულია ექვსი თვით, გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენს საპროცესო შეთანხმება, რომლის დროსაც შესაძლებელია ექვს თვეზე ნაკლები ვადით სასჯელის დანიშვნა.

---

[129] პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, თბ., 1999, გვ. 423

[130] სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, მესამე გამოცემა, თბ., 2018, გვ.510

[131] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (99)22 ციხის გადატვირთულობისა და „ციხის მოსახლეობის“ ზრდის თაობაზე, პირველი პუნქტი

[132] http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2018-weli-wigni-sisxli.pdf გვ. 72

ავტორთა ნაწილი მიიჩნევს, რომ „ხანმოკლე სასჯელს ახასიათებს ციხისთვის ჩვეული ყველა უხერხულობა უპირატესობის გარეშე“, ნაწილი კი მოკლე სასჯელის გამომაფხიზლებელი ეფექტის თაობაზე მიუთითებს(sharp short shock). „ზოგი კანონმდებლობა კატეგორიულად გამორიცხავს ერთი თვით ან უფრო ნაკლები ვადით პატიმრობას (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლი, აბზაცი 2 და პორტუგალიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლი,). კოდექსების უმეტესობა არ გამორიცხავს ხანმოკლე სასჯელს.“[133]

მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთისას მსჯავრდებულზე ციხის კრიმინალური ცხოვრების წესების ზეგავლენის ხარისხი დაბალია.[134] და მისი რესოციალიზაცია უფრო ნაკლებ ძალისხმევას საჭიროებს.

გამომდინარე იქედან, რომ გრძელვადიანად ითვლება თავისუფლების აღკვეთა ხუთი და მეტი წლის ვადით[135], მოკლევადიან თავისუფლების აღკვეთას წარმოადგენს ხუთ წლამდე ვადით პატიმრობის შეფარდება. აღნიშნული სასჯელი კი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნაკლებად მძიმე დანაშაულთა შემთხვევაში გამოიყენება.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთა 2016 წელს შეეფარდა 49,5%-ს, 2017-ში 48,6%-ს და 2018 წელს 42,6%-ს. თავისუფლების აღკვეთის გამოყენებისას ყველაზე ხშირად სწორედ 1-დან 5 წლამდე ვადით სასჯელი განისაზღვრება,[136] ამ კატეგორიის მსჯავრდებულთა შორის რესოციალიზაცია შედარებით ნაკლები ძალისხმევით მიიღწევა, ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა დაიგეგმოს რესოციალიზაციის ღონისძიებები.

4.2. გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთა

გრძელვადიანი პატიმრის ერთგვაროვანი განმარტება არ არსებობს, მთელ რიგ ციხეებში, მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებში, ნებისმიერი პირი, რომელიც სასჯელს იხდის 6 თვეზე მეტი ვადით, გრძელვადიან პატიმრად ითვლება. მეორე მხრივ, არსებობს სისტემები, მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც გრძელვადიან პატიმრად ითვლებიან პირები, რომლებიც სასჯელს იხდიან 10 წელზე მეტი ვადით. ამერიკის შეერთებულ შტატებში შეხვდებით შემთხვევებს, როდესაც პატიმრებს შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა 100 წელზე მეტი ხნის ვადით, რაც

---

[133] პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, თბ., 1999, გვ. 425

[134] შალიკაშვილი მ., ჩიხლაძე დ., პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი, თბილისი/ზერლინი, 2013, გვ.69-70

[135] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003) 23 ციხის ადმინისტრაციის მიერ უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვის შესახებ , (2003) 23 რეკომენდაციის დანართი, პირველი პუნქტი

[136] http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2018-weli-wigni-sisxli.pdf გვ.77

მათი ცხოვრების ხანგრძლივობას აშკარად აღემატება[137]. ევროსაბჭოს მინისტრთა საბჭოს 2003 წლის 23-ე რეკომენდაციით rec(2003) 23) გრძელვადიანი პატიმარი არის პირი, რომელიც იხდის სასჯელს ან რამდენიმე სასჯელს, რომელიც მთლიანად შეადგენს ხუთ ან მეტ წელს.[138]

თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივი ვადა თავისთავად არ არის არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, „თუ მსჯავრდებულისთვის მისჯილი თავისუფლების აღკვეთის ვადა აშკარად უსამართლო დაჩადენილი დანაშაულის სიმძიმის დისპროპორციულია, ადგილი აქვს არაადაამიანურ და დაამცირებელ მოპყრობას, რაც არღვევს მე-17 მუხლით დაცულ ადამიანის ღირსებას და სხვა უფლებებს.“[139] გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთის მიზეზად მიიჩნევენ სისხლის სამართლის კოდექსში მითითებულ სასჯელის მაღალ ზომებსა და შეკრებითობის პრინციპის ხშირ გამოყენებას.[140]

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2016 წელს გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთა გამოყენებულ იქნა მსჯავრდებულთა 51,5%-ის მიმართ, 2017 წელს- 52,4 %-ის მიმართ, ხოლო 2018 წელს 58,4%-ის მიმართ.[141] საქართველოში ყველაზე ხშირად გამოყენებადი სწორედ გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთაა. გამომდინარე იქედან, რომ მსჯავრდებულთა უმეტეს რაოდენობას გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთა აქვთ შეფარდებული, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა დაეთმოს მათი რესოციალიზაციისკენ მიმართულ ღონისძიებებს, რათა მათ მიერ განმეორებით დანაშაულის ჩადენა მაქსიმალურად იყოს თავიდან აცილებული.

მაღალი ზომის თავისუფლების აღკვეთის პირობებში არსებობს საშიშროება, რომ ციხის კრიმინალური ცხოვრების წესებმა მსჯავრდებულზე ზეგავლენა იქონიოს და გათავისუფლების შემთხვევაშიც მისდევდეს მათ წესებს და კრიმინალური ცხოვრების მიმდევრად დარჩეს.[142]

პროფესორი შალიკაშვილი მიუთითებს იმ ექვს ძირითად პრობლემაზე, რომელსაც გრძელადიანი თავისუფლების აღკვეთა იწვევს, ისინი პირდაპირ კავშირშია რესოციალიზაციასთან. ესენია 1, უკულტურობის პროცესი,რაც გულისხმობს საზოგადოებისგან მოწყვეტასა და ნაცნობი ურთიერთობების დავიწყებას. 2. სოციალური კონტაქტების დაკარგვა 3. კრიმინალური სუბკულტურისადმი

---

[137] პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ. 2007, გვ.145

[138]ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003) 23 ციხის ადმინისტრაციის მიერ უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვის შესახებ , (2003) 23 რეკომენდაციის დანართი, პირველი პუნქტი

[139] გოცირიძე ევა, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის კომენტარი, წიგნში- საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თბ., 2013, გვ.107, 112

[140] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, გვ. 470

[141] http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2018-weli-wigni-sisxli.pdf გვ.77

[142] შალიკაშვილი მ., ჩიხლაძე დ., პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი, თბილისი/ბერლინი, 2013, გვ. 70

მიდრეკილება, 4. სოციალური გაუცხოება 5. ჯანმრთელობისა და ფსიქოსომატური პრობლემები, 6. ნაციხარის ეტიკეტირება და დისკრიმინაცია.[143]

რაც უფრო მაღალია თავისუფლების აღკვეთის ზომა მით უფრო დიდხანს არის მოწყვეტილი მსჯავრდებული რეალობას- საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ურთიერთობებს, როგორც აღინიშნა გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთა იწვევს სოციალური კონტაქტების დაკარგვას, რაც რესოციალიზაციის მნიშვნელოვან ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს. ციხის პერსონალს უჭირს იმ კატეგორიასთან ურთიერთობა, რომელსაც არ აკითხავენ. „ ეს არის კატეგორია ადამიანებისა, რომლებიც ფიქრობენ, რომ დარჩნენ ოჯახის გარეშე, ან ჰყავთ ოჯახი, რომელიც მათ გათავისუფლების შემდეგ არ მიიღებს. ე.ი ისინი იძულებულნი არიან იფიქრონ ახალ დანაშაულზე, რადგანაც ამ შემთხვევაში მუშაობს თვითგადარჩენის ინსტიქტი“.[144] პირებში, რომელთაც აკითხავენ დადებითი პროცესები უფრო სწრაფად და ეფექტურად მიმდინარეობს.

მსჯავრდებულებსთვის, რომლებიც იხდიან გრძელვადიან სასჯელს დამახასიათებელია თანამოქალაქეებისადმი დამოკიდებულების შეცვლა. სხვა ადამიანებთან დამოკიდებულებაში ისინი ხშირად ღიზიანდებიან, აგრესიულები ხდებიან, ურთიერთობებში შიშით ან გადამეტებული მგრძნობელობით გამოირჩევიან, რაც ართულებს მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას.[145]

ბევრ ევროპულ ქვეყანაში გაიზარდა იმ პატიმართა რაოდენობა, რომელთაც მისჯილი აქვთ უვადო ან გრძელვადიანი პატიმრობა. ზოგიერთი ვიზიტის დროს, CPT-მ შენიშნა, რომ მათი მდგომარეობა მატერიალური პირობების, საქმიანობებისა და ადამიანური კონტაქტების თვალსაზრისით, არაა დამაკმაყოფილებელი. რაც ძირითადად, გამოიხატებოდა ამ კატეგორიის პატიმართა მიმართ გარკვეული შეზღუდვების დაწესებაში. მას ამართლებდნენ გრძელვადიანი პატიმრობისათვის დამახასიათებელი მავნე ეფექტის შესამცირების არგუმენტით.. ამგვარი შეზღუდვების მაგალითებია: ციხის დანარჩენ ბინადართაგან მუდმივი განცალკევება, ხელბორკილების დადება საკნიდან გამოყვანისას, სხვა პატიმრებთან ურთიერთობის აკრძალვა და მნახველთა ვიზიტების შეზღუდვა. CPT ვერ ხედავს ამგვარი შეზღუდვების გამოყენების საფუძველს ყველა მსჯავრდებულისათვის ინდივიდუალური რისკის შეფასების გარეშე, რომელიც, შესაძლოა, არსებობდეს ან არც არსებობდეს.[146]

---

[143] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, გვ. 470

[144] ხასია მ., მსჯავრდებულთა სოციალური რეაბილიტაცია საქართველოში, რეალობა და პერსპექტივები, თბ., 2005, გვ.20

[145] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, გვ. 472

[146] ციხეში პატიმრობასთან დაკავშირებული კომიტეტის სტანდარტების განვითარება, წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი (CPT), 2001, პუნქტი 33

გრძელვადიანი პატიმრობა გავლენას მათ ფსიქიკაზეც ახდენს. ერთ ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულ მამაკაც პატიმართა 2/3 ფსიქიკურად არაჯანმრთელი იყო და მკურნალობას საჭიროებდა.[147]

დამატებითი ნაბიჯები უნდა გადაიდგას იმისათვის, რომ პატიმრობის პერიოდს გარკვეული აზრი დაემატოს; კერძოდ, ამგვარ პატიმართა დახმარების მნიშვნელოვანი ელემენტებია პატიმრობის ინდივიდუალური გეგმის შეთავაზება და სათანადო ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა მსჯავრდების პერიოდთან შესაგუებლად და, როცა დრო მოვა, გათავისუფლებისათვის მოსამზადებლად[148], რათა თავიდან იქნეს აცილებული გრძელვადიანი პატიმრობის მავნე შედეგები, წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოებაში არარესოციალიზებული პირი დაბრუნდება, რომელიც განმეორებით დანაშაულის ჩადენის რისკის მატარებელია.

4.3. უვადო თავისუფლების აღკვეთა

სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის „თ“ პუნქტის თანახმად, სასჯელის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს უვადო თავისუფლების აღკვეთა, რომელის სასჯელის უმკაცრესი ზომაა. საინტერესოა საკითხი უვადო თავისუფლების აღკვეთისას შესაძლებელია თუ არა რესოციალიზაციის მიღწევა?

რესოციალიზაციის უმთავრესი ფაქტორი ასეთ შემთხვევებში პირობით ვადამდე გათავისუფლების შესაძლებლობის არსებობაა. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთა, პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლების გარეშე, ადამიანის ღირსების შემლახველია; მისივე განმარტებით, „უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება ადამიანის ღირსების შესაბამისი იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იარსებებს განთავისუფლების მოლოდინი. ადამიანის ღირსება შელახულია, თუ მსჯავრდებული, მისი პირადი განვითარების მიუხედავად, დაკარგავს ოდესმე თავისუფლების დაბრუნების ყველანაირ იმედს.“[149] ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, თუ რამდენად ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მესამე მუხლს პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლების არქონა. საქმეში „ეინჰორნი საფრანგეთის წინააღმდეგ“ სასამართლომ აღნიშნა, რომ ისეთი უვადო თავისუფლების აღკვეთის დაკისრება, რომელიც გამორიცხავს სხვა სახის სასჯელით შეცვლის შესაძლებლობას, შეიძლება წამოჭრას კონვენციის მესამე მუხლით დაცული უფლების დარღვევის საკითხი.[150] თუ მსჯავრდებულს არ აქვს იმედი, რომ როდესმე

---

[147] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, გვ. 47

[148] ციხეში პატიმრობასთან დაკავშირებული კომიტეტის სტანდარტების განვითარება, წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი (CPT), 2001, პუნქტი 33

[149] მიქანაძე გ., პატიმრის პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლება – ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა, ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, რედ. კ. კორკელია, თბ., 2012, გვ. 134-135

[150] ეინჰორნი საფრანგეთის წინააღმდეგ (Einhorn v. France) 16 ოქტომბერი, 2001, 27-ე პუნქტი

გათავისუფლდება, თუ ვერ ხედავს რაიმე აზრს მის პატიმრობაში, გარდა იმისა რომ ჩადენილ ქმედებაზე პასუხს აგებს, მაშინ მისთვის გამოწორების მოტივაცია ძალიან დაბალია, რასაც ნულამდე დაჰყავს რესოციალიზაციის მაჩვენებელი.

ასევე, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ „სამუდამო პატიმრები, შესაძლებელია ფსიქიკურად დაავადდნენ, რაც განპირობებულია სანქციის სიდიდით ან გათავისუფლების დღის უცოდინრობით“[151]. ამას ადასტურებს 2004 წელს აშშ-ში ჩატარებული კვლევა, რომელმაც ცხადჰყო, რომ ყოველ მეხუთე უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირს ჰქონდა ფსიქიკური პრობლემები სასჯელის მოხდის სხვადასხვა პერიოდში.[152] გაეროს დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, სამუდამო პატიმრებს, სავარაუდოდ, აქვთ ფსიქოლოგიური და სოციალური პრობლემები, რაც გამოიკვეთება სასჯელისგან განთავისუფლების შემდეგ.[153]

„გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ 1977 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ დაახლოებით 20 წლის შემდეგ, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებული ფიზიკურად და სულიერად დაეცემა.“[154] პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ გრძელვადიანი და დროში განუსაზღვრელი პატიმრობა ხშირად იწვევს უვადო მსჯავრდებულთა მიერ სუიციდს. ორგანიზაცია Prison Reform Trust მიერ ინგლისსა და უელსში ჩატარდა კვლევა, რომლითაც დადგინდა, რომ სუიციდის მაჩვენებელი მამაკაც პატიმრებს შორის ხუთჯერ მეტია, ვიდრე დანარჩენ საზოგადოებაში. [155]

აღსანიშნავია, რომ ქართული კანონმდებლობა ითვალისწინებს უვადო პატიმრების პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72 პრიმა მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მსჯავრდებულმა, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა, ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცი წელი, სასამართლო უფლებამოსილია იგი პირობით გაათავისუფლოს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გამოსაცდელი ვადით.ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან ორიენტირს სასჯელის მიზანი წარმოადგენს, სამართლიანობის აღდგენასთან ერთად უნდა შენარჩუნდეს პირის გამოსწორებისა და საზოგადოებაში რეაბილიტაციის მიზანი.[156]

---

[151] ადამიანის უფლებები და სასჯელაღსრულების დაწესებულებები, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების საკითხებში სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთათვის, ნიუ-იორკი და ჟენევა, 2005, გვ. 193

[152] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, გვ.392

[153] სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, მესამე გამოცემა, თბ., 2018, გვ. 515

[154] ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ., 2016, გვ. 110

[155] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, გვ.393

[156] სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ.ნაჭყებია, ნ. თოდუა, მესამე გამოცემა, თბ., 2018, გვ. 514

72-ე პრიმა მუხლი 2017 წლის 1 ივნისს შესული ცვლილებით დაემატა კოდექსს, მანამდე აღნიშნული საკითხი რეგულირდებოდა 72 -ე მუხლის მე -7 ნაწილით, სადაც მითითებული იყო, რომ მსჯავრდებული უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდისგან შეიძლება გათავისუფლდეს, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცდახუთი წელი და თუ სასსჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის მსჯავრდებულმა გააგრძელოს ამ სასჯელის მოხდა. როგორც ვხედავთ , კანონმდებელმა ფაქტობრივად მოხდილი ვადა 25 დან 20 წლამდე შეამცირა, რაც მსჯავრდებულის რესოციალიზაციის კუთხით მისასალმებელია.

სისხლის სამართლის კანონმდებლობა იძლება საშუალებას უვადო თავისუფლების აღკვეთა 15 წლის მოხდის შემდეგ შეიცვალოს საზოგადოებიისთვის საასარგებლო შრომით, აღნიშნული კი „თავისუფლების უვადო აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას რეალურს ხდის, რამდენადაც დამნაშავის რესოციალიაზაცია მხოლოდ მკაცრი იზოლაციით კი არა, მისი გამოსწორების შემთხვევაში სხვა ალტერმატივებითაც არის შესაძლებელი.“[157]

პირობით ვადამდე გათავისუფლების ზღვარი გერმანიაში 15 წლამდეა დაყვანილი, ზოგ ქვეყანაში კი მსგავსი ინსიტუტი საერთოდ არ არსებობს მაგალითად, პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლებით არ სარგებლობენ უვადო პატიმრები ლიტვაში, მალტაში, ნიდერლანდებში. ასეთი რეგულაციით უპირატესობა ენიჭება სამართლიანობის აღდგენას და უგულებელყოფილია მსჯავრდებულის რესოციალიზაცია.[158] ამ შემთხვევაში რესოციალიზაცია, როგორც სასჯელის მიზანი აზრს კარგავს.

„თუკი სასჯელის ყველა მიზანი მიღწეულია და სასჯელის მოქმედება უვადოდ , ადამიანის სიცოცხლის ბოლომდე გრძელდება, მაშინ უვადო თავისუფლების აღკვეთა უსამართლობის დამკვიდრებას ემსახურება.“[159] ესპანეთის სისხლის სამართლის დოქტრინა მიუთითებს, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთა არაკონსტიტუციურია, რადგან სასჯელაღსრულების დაწესებულებაა ვალდებული მსჯავრდებულის სოციალურად რეაბილიტირება დაუმტკიცოს საზოგადოებას, ხოლო უვადო თავისუფლების აღკვეთა ამ დებულების საწინააღმდეგოა.[160]

უვადო თავისუფლების აღკვეთისას პირობით ვადამდე გათავისუფლების მექნიზმი იძლევა რესოციალიზაციის შესაძლებლობას, ხოლო რამდენად მიიღწევა იგი ამ შესაძლებლობის ფარგლებში პიროვნების მზაობასა და სასჯელაღსრულების პირობებზეა დამოკიდებული, ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს არსულებს ციხის

---

[157] სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, მესამე გამოცემა, თბ., 2018, გვ.516

[158] ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ., 2016, გვ. 109

[159] დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, გვ.60

[160] კოილი ე., პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან – სახელმძღვანელო პენიტენციალური სისტემის თანამშრომლებისთვის. თბ., 2007, გვ.146

ადმინისტრაცია. სასჯელაღსრულების დაწესებულებებმა საზოგადოებასთან სამუდამო პატიმრობაში მყოფ პირთა ურთიერთობთა სპექტრი უნდა გააფართოონ, კერძოდ, ჩართონ საგანმანათლებლო პროგრამებში, საპატიმროს გარეთ მუშაობასა და სხვადასხვა აქტივობებში; სამედიცინო გამოკვლევის და განათლების მიღების მიზნით, ასევე ოჯახური და სოციალური მიზეზების გამო, მცირე დროით მისცენ ნება გავიდეს საპატიმროდან, ციხის გარეთ კი, ზედამხედველობის ქვეშ, პატიმრების ჩართონ სხვადასხვა საქმიანობასა და ტრენინგებში.[161]

მნიშვნელოვანია მათი დასაქმება და საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართვა. იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდული რესურსებია ხელმისაწვდომი მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის აქტივობებში მონაწილეობისთვის, მიზანშეწონილია პრიორიტეტი მიენიჭოს უვადო თავისუფლებააღკვეთილებს სხვა მსჯავრდებულებთან შედარებით. რაც განპირობებულია მათი დიდი ხნით იზოლირებით საზოგადოებისა და საკუთარი ოჯახებისგან. შესაბამისად, ისინი ყველაზე მეტად საჭიროებენ დახმარებას, ასეთ პირთა თავისუფლების აღკვეთის პროგრამებში მონაწილეობა ხელშემწყობია ციხის ცხოვრების ადაპტაციაში.[162]

უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირთა პირობების განსაზღვრისას გასათვალისწინებელ პრინციპთა ჩამონათვალი გათვალისწინებული ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2003(23) რეკომენდაციით.გამოიყოფა ინდივიდუალიზაციის პრინციპი- რაც გულისხმობს პატიმრობის დაგეგმვას პიროვნული თვისებების განსხვავებულობის გათვალისწინებით. ნორმალიზაციის პრინციპი გულისხმობს ციხის საცხოვრებელი პირობების მიახლოებას ციხის გარეთ არსებულთან, და იზოლაციის დაუშვებლობის პრინციპი, კერძოდ, არ უნდა მოხდეს უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების იზოლაცია მხოლოდ მათი სასჯელის ტიპის გამო, [163] პროგრესის პრინციპი – „უვადო ან სხვა გრძელვადიანი პატიმრის ცხოვრების ინდივიდუალური დაგეგმვა მიზნად უნდა ისახავდეს პროგრესულ სვლას ციხის სისტემის ფარგლებში“[164]

უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირთა კატეგორია მაღალი რისკჯგუფს განეკუთვნება, მათ განსაკუთრებით მძიმე დანაშაული აქვთ ჩადენილი და საფრთხეს უქმნიან საზოგადოებრივ წესრიგს. მათი რესოციალიზაცია დიდ ძალისხმევასა და განსაკუთრებულად ფრთხილ, მიზანმიმართულ დაგეგმას საჭიროებს. მიმაჩნია, რომ უვადო თავისუფლების დღეს მოქმედი რეგულირება იძლევა რესოციალიზაციის მიღწევის შესაძლებლობას ინდივიდუალური გეგმის შედგენისა და ღონისძიებათა ფრთხილი გამოყენების მეშვეობით.

---

[161] ადამიანის უფლებები და სასჯელაღსრულების დაწესებულებები, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების საკითხებში სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთათვის, ნიუ-იორკი და ჟენევა, 2005, გვ. 198

[162] მიქანაძე გ., არასრულწლოვან, ქალ და უვადო თავისუფლებააღკვეთილ პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებანი, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბ., 2008, გვ. 52

[163] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003) 23 ციხის ადმინისტრაციის მიერ უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვის შესახებ

[164] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, გვ.400

4.4.რესოციალიზაციის პროცესი სასჯელაღსრულების დაწესებულებებში

პირის მსჯავრდება და მისი საზოგადოებისაგან იზოლირება ორიენტირებულია ერთი მხრივ, ქვეყნისა და საზოგადოების უსაფრთხოებაზე, და მეორე მხრივ, დამნაშავის გამოსწორებაზე, რაც გულისხმობს სასჯელისა მოხდის შემდეგ საზოგადოებისთვის უსაფრთხო პიროვნებად დაბრუნებას. [165]

ჩრდილოეთ ამერიკული ციხის მაგალითზე, შრაგის მიერ ჩამოყალიბებულ იქნა მსჯავრდებულთა ოთხ ტიპი: პროსოციალური, ანტისოციალური, ფსევდოსოციალური და ასოციალური.[166], რომელთა რესოციალიზაციაც სხვადასხვა ღონისძებებს საჭიროებს.

პროსოციალური მსჯავრდებულები ორიენტირებულები არიან ლეგალურ ნორმებზე. მათ უფრო მეტი ურთიერთობა აქვთ სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ვიდრე სხვა მსჯავრდებულებთან, აღსანიშნავია, რომ ისინი თავს არ მიიჩნევენ კრიმინალებად და მათ მჭიდრო კავშირი აქვთ საკუთარი ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან.

ანტისოციალური მსჯავრდებულების ტიპი აღიარებს კრიმინალურ ნორმებს, მათ აქვთ მინიმალური კონტაქტი სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ხოლო ხშირი კომუნიკაცია, ასოციალური მსჯავრდებულების გარდა, ყველა სხვა ტიპის მსჯავრდებულებთან. განმეორებითი დანაშაულის ჩადენის პროცენტული მაჩვენებელი მათში ძალიან მაღალია.

ფსევდოსოციალური მსჯავრდებულების ტიპი ხშირად იცვლის ნორმებისადმი ორიენტაციას. მათ კარგი ურთიერთობა აქვთ როგორც სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ასევე მსჯავრდებულებთან.

ასოციალური მსჯავრდებულები, ფსევდოსოციალური მსჯავრდებულების მსგავსად, ლოიალურები არიან, როგორც მორალური, ასევე საკანონმდებლო ნორმების მიმართ. მათ არა აქვთ ხშირი კონტაქტი არც დაწესებულების ადმინისტრაციასთან, არც მსჯავრდებულებთან. უნდობლობით გამოირჩევიან და შიშით ეკიდებიან ნებისმიერი ხასიათის პერსონალურ ურთიერთობებს.

წარმატებული რესოციალიზაცია შესაძლებელია პროსოციალური მსჯავრდებულებისთვის, ვინაიდან ისინი მზად არიან მონაწილეობა მიიღონ შემოთავაზებულ სარეაბილიტაციო-აღმზრდელობით პროგრამებში. პრობლემურია, გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთისას რესოციალიზაციის შედეგებზე კრიმინალური სუბკულტურის გავლენის თავიდან აცილება.[167]

---

[165] კობერიძე კ., სასჯელაღსრულების დაწესებულების რეჟიმის მნიშვნელობა მსჯავრდებულის რესოციალიზაციისათვის, სამართალი, #11-12, თბ., 2002, გვ. 86.

[166] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, გვ. 82-83

[167] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, გვ. 82-83

საქართველოს პატიმრობის კოდექსის თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფს ბრალდებულისა და მსჯავრდებულის კანონიერი უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე მათი სამართლებრივი, სოციალური და პირადი უსაფრთხოების დაცვას, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებას.

ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს უზრუნველყოფილი იყოს: საცხოვრებლით, კვებით, პირადი ჰიგიენით, ტანსაცმლით, შრომით, სამედიცინო მომსახურებით, ახლო ნათესავებთან შეხვედრით, სატელეფონო საუბრებით და მიმოწერით, ზოგადი და პროფესიული განათლებით და ა.შ . მას უფლება აქვს მიიღოს განათლება, აღნიშნული ღონისძებების რეალიზება ხელს შეუწყობს რესოციალიზაციას. ამ პროცესში მნიშვნელოვანია მათი ურთერთობა ოჯახის წევრებთან, ციხის პეროსნალთან. „პაემნის უფლება გარე სამყაროსთან ურთიერთობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რადგანაც იგი მსჯავრდებულს/ბრალდებულს აძლევს ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან პირადი კონტაქტის საშუალებას და განიხილება, როგორც რესოციალიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.“[168]

პატიმრობის კოდექსის თანახმად, მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ერთ-ერთ საშუალებას მსჯავრდებულთა დასაქმება წარმოადგენს. ბრალდებული/მსჯავრდებული მუშაობს პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე, თუ პენიტენციურ დაწესებულებას აქვს მისი დასაქმების შესაძლებლობა.

დამნაშავის გამოსწორება არ შეიძლება მხოლოდ გარე ზემოქმედებით. ამისთვის აუცილებელია მონანიება, აღიარება და თვითგანსჯა. გამოსწორება ნიშნავს მისი სინდისისა და სირცხვილის გრძნობის ჩართვას. ამიტომ მნიშვნელოვანია განისაზღვროს რამდენად მიიღწევა ციხეში გამოსწორება და რა ღონისძიებებს მიმართავენ ამისთვის.

სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშის მიხედვით, დაწესებულებებში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის კუთხით გატარებულ ღონისძიებებს ფრაგმენტული ხასიათი გააჩნია და არ არის მორგებული მსჯავრდებულთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე. ფორმალურია სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა, რაც არასაკმარისი და შესაბამისი კვალიფიკაციის არმქონე პერსონალის პირობებში შეუძლებელს ხდის მსჯავრდებულთა ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრას.[169]

რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის კუთხით, განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში. საინტერესო და თავშესაქცევი აქტივობების გარეშე საკანში 23 საათი ყოფნა დახურულ და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში მოთავსებულ პატიმრებში აძლიერებს პროტესტის, უსამართლობისა და უიმედობის განცდას, რაც დამატებით პრობლემებს აჩენს

---

[168] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, გვ. 169

[169] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში, გვ.55

წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით.[170] ამ კუთხით სახელმწიფომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები უნდა გადადგას, რაც არაა ერთჯერადი ხასიათის, მიზანმიმართული თანმიმდევრული ღონისძიებები რესოციალიზაციის პროცესში აუცილებელია.

საბოლოოდ, მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ძირითად საშუალებებს წარმოადგენს: სასჯელის მოხდა დადგენილი წესის შესაბამისად, სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება, მსჯავრდებულთა დასაქმება, ზოგადი, პროფესიული განათლების მიღება, საზოგადოებასთან ურთიერთობა. იმისათვის, რომ თავისუფლების აღკვეთა იყოს ეფექტური, ყველა ეს პირობა უნდა არსებობდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში სასჯელის სამაგიეროს მიზღვას გაუთანაბრდება.

თავი V. სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლება

5.1. პირობით ვადამდე გათავისუფლება რესოციალიზაციასთან კავშირში

პირობით ვადამდე გათავისუფლება ყოველი თავისუფლებააღკვეთილი პირის უფლებაა, რომლის არსებობის გარეშე ფაქტიურად შეუძლებელია პატიმართა რესოციალიზაციაზე საუბარი.[171] იგი „მიზნად ისახავს განმეორებითი სამართალდარღვევის აცილებას და აღიარებულია პატიმართათვის დაგეგმვის, დახმარებისა და ზედამხედველობის გზით საზოგადოებაში ინტეგრაციის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან საშუალებად."[172] ვადამდე განთავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობა და პოლიტიკა უმნიშვნელოვანესია თავისუფლების აღკვეთის დაკისრებისა და აღსრულებისათვის, ვინაიდან ისინი ცხადყოფენ იმ რეალობას, რომლითაც დგინდება, თუ რამდენად იზღუდება ქვეყანაში დასჯის მექანიზმის გამოყენება უფრო ზოგადი პრინციპებით, სასჯელის მიზნიდან გამომდინარე.[173]

სასჯელების პრინციპებისა და პროცედურების გაუმჯობესების საჭიროებას განაპიროებებს ციხეებისა და მასში მყოფ პირთა რაოდენობის მასიური ზრდა.[174], ციხეების განტვირთვისა და მსჯავრდებულის რესოციალიზაციის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემა.

---

[170] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში, გვ.55

[171] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, გვ. 252

[172] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)22 პირობით ვადამდე განთავისუფლების შესახებ, პრეამბულა

[173] D. van Zyl Smit and S. Snacken, Principles of European Prison Law and Policy, Penology and Human Rights, Oxford University Press Inc., New York, 2011, 316.

[174] Richard S. Frase, Just Sentencing: Principles and Procedures for a Workable System, Oxford University Press, 2013, pg.5

პირობით ვადამდე გათავისუფლების ორი სახე არსებობს: დისკრეციული და სავალდებულო ანუ ავტომატური გათავისუფლების სისტემა. დისკრეციული გათავისუფლების სისტემა გულისხმობს იმას, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლების მოპოვებისათვის მოსახდელი სასჯელის მინიმალური ვადა განისაზღვრება კანონით. ასეთ ქვეყანათა რიგს მიეკუთვნება საქართველოც. ხოლო სავალდებულო პირობით ვადამდე გათავისუფლების შემთხვევაში განისაზღვრება სასჯელის ის პერიოდი, რომელსაც მსჯავრდებული მოიხდის, რათა გათავსუფლების უფლება მოიპოვოს.[175]

საქართველოს კანონმდებლობა მსჯავრდებულის პირობით ვადამდე განთავისუფლების საკითხის განსახილველად, დანაშაულთა სიმძიმის მიხედვით, სასჯელის მინიმალურ მოსახდელ ვადას აწესებს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის თანახმად, პირობით ვადამდე გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ პირმა ფაქტობრივად მოიხადა: ა) ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევარი; ბ) მძიმე დანაშაულისთვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ორი მესამედი; გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ სამი მეოთხედი. ასევე სამი მეოთხედი სასჯელისა,რომელიც დანიშნული ჰქონდა პირს, რომელიც წინათ პირობით ვადამდე გაათავისუფლეს, ხოლო პირობით ვადამდე გათავისუფლება გაუქმდა მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებისთვის ჯიუტად თავის არიდებისთვის, ან გაუფრთხილებელი ან განზრახი დანაშაულის ჩადენისთვის. ამ ვადის გასვლის შემდეგ მათ ეძლევათ თავისუფლების შანსი, მსჯავრდებულთათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იცოდეს თუ როდის მოხდება მისი გათავისუფლება, აღნიშნული მათი პერსპექტივიდან გამომდინარე, იოლად გასაგებია, რადგან განთავისუფლება, თუნდაც პირობითი, თავისუფლების დაბრუნებას ნიშნავს, რაც ადამიანის ძირითადი უფლებას წარმოადგენს.[176]

ვადაზე ადრე გათავისუფლების პერსპექტივა ერთგავარად თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში „კარგად ქცევის“ მასტიმულირებელია, რაც მის უპირატესობას წარმოაჩენს. მსჯავრდებულის ინტერესებშია სასჯელის მოხდის პერიოდში მოიქცეს დადებითად, რაც ვრცელდება პირობით გათავისუფლების პერიოდზეც. აღნიშნული მოიცავს დაკისრებული მოვალეობების შესრულებაში დახმარებასა და კონტროლს, ზედამხედველობას.[177]

რესოციალიზაციისთვის მხოლოდ პიროვნების სურვილი და მზაობა არ არის საკმარისი. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მნიშვნელოვანია გატარდეს

---

[175] მიქანაძე გ., პატიმრის პირობით ვადამდე განთვისუფლების უფლება- ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა,ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, რედ. კ.კორკელია, თბ., 2012, გვ. 125

[176] მიქანაძე გ., პატიმრის პირობით ვადამდე განთვისუფლების უფლება- ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა,ადამიანის უფლებათა დაცვა:მიღწევები და გამოწვევები, რედ. კ.კორკელია, თბ., 2012, გვ. 138-139

[177] ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ., 2016, გვ.112

საზოგადოებაში დაბრუნებისკენ მიმართული ღონისძიებები, რაც უნდა განხორციელდეს განთავისუფლებისათვის მოსამზადებელი პროგრამების არსებობითა და ნაწილობრივ ან პირობით ვადამდე განთავისუფლებით.[178] „ვადამდე განთავისუფლების პროცედურებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შეზღუდვის, თავისუფლების აღკვეთის ნეგატიური ეფექტების შემცირებისა და მსჯავრდებულთა რეინტეგრაციის კუთხით."[179]

პირობით ვადამდე გათავისუფლებისთვის მზადება ადრეულ ეტაპზე უნდა დაიწყოს, იგი უნდა იძლეოდეს პატიმრებისთვის ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებთან ურთიერთობების შენარჩუნების, განახლების შესაძლებლობას. ასევე მათ აქვთ უფლება კავშირი დაამყარონ იმ სამსახურებთან, ორგანიზაციებსა და მოხალისეთა ასოციაციებთან, რომელთაც შეუძლიათ ვადამდე გათავისუფლებულ პატიმრებს დაეხმარონ საზოგადოებაში ცხოვრებასთან ადაპტაციაში. [180]

პირობით ვადამდე განთავისუფლების ეფექტური სისტემის დანერგვასა და განხორციელებაზე პირადაპირ მიუთითებს ევროპული სტანდარტები, იგი აღიარებულია სასჯელის მიზნის მიღწევის ყველაზე მიზანშეწონილ სისტემად და მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისთვის ხელშემწყობ ფაქტორად. [181]

„სასჯელის მოხდისგან გათავისუფლება, სასჯელის შეცვლა, სასჯელის შემცირება, ან სასჯელის მოხდის გადავადება ემსახურება მსჯავრდებულის რესოციალიზაციას, როგორც სასჯელის ერთ ერთ მიზანს, ხოლო თავისი არსით სისხლის სამართალში მოქმედი ჰუმანიზმის პრინციპსა და სასჯელის აღსრულების მიზანშეწონილობას უკავშირდება."[182]

ვადამდე გათავისუფლება პოპულარული მეთოდია, ვინაიდან მისი საშუალებით შესაძლებელია გათავისუფლებულ პირთა ქცევის რეგულირება. ამ პირთა მიერ დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის რისკი საკმაოდ მაღალია. მეთოდის ძირითად შემადგენელი ნაწილს მკაცრი ზედამხედველობა წარმოადგენს.. ოთხი ყველაზე ხშირი პრობლემა, რომლის გარშემოც ყოფილ პატიმრებს სჭირდებათ რჩევა არის: შესაფერისი საცხოვრებელი პირობები; შემოსავლის წყარო; პრობლემები ოჯახურ ურთიერთობებში; და ყოფილ კრიმინალ მეგობრებთან კონტაქტის თავიდან აცილება. გაერთიანებული სამეფოს ბოლოდროინდელი სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობა ნახევრდება, როდესაც,

---

[178] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ევროპული ციხის წესების შესახებ, 107- წესი

[179] მიქანაძე გ., პატიმრის პირობით ვადამდე განთვისუფლების უფლება- ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა,ადამიანის უფლებათა დაცვა:მიღწევები და გამოწვევები,სტატიატა კრებული, რედ. კ.კორკელია, თბ., 2012, გვ. 139

[180] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)22 პირობით ვადამდე განთავისუფლების შესახებ, გვ.4

[181] მიქანაძე გ., პატიმრის პირობით ვადამდე განთვისუფლების უფლება- ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა,ადამიანის უფლებათა დაცვა:მიღწევები და გამოწვევები,სტატიათა კრებული, რედ. კ.კორკელია, თბ., 2012, გვ. 139

[182] დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, გვ. 172

გათავისუფლების შემდეგ, პატიმარი ამ ტიპის ზედამხედველობას ექვემდებარება.[183] პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების სისტემის ეფექტურობა მოითხოვს რისკების ზუსტ განჭვრეტას, რათა შესაძლებელი იყოს შესაბამისი ზედამხედველობითი გეგმის წინასწარ შემუშავება.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2014 წელს გათავისუფლებულ პატიმართა საერთო რაოდენობა 4192 მსჯავრდებულს შეადგენდა, აქედან ვადაზე ადრე გათავისუფლებულ პირთა რაოდენობა 894-ია,რაც გათავისუფლებულთა 21,3%-ს შეადგენდა. ყოფილი პატიმრების მიერ გათავისუფლებიდან სამი წლის ვადაში დანაშაულის ჩადენის პროპორციულობა 1,7%-ს შეადგენდა. მეთვალყურეობის გარეშე გათავისუფლდა 2637 პირი.[184]

პირობით ვადამდე გათავისუფლებული პირების რისკებისა და ინდივიდუალური სასჯელის გეგმის განხორციელების პერიოდული შეფასება რესოციალიზაციის პროცესის უშუალო და ძირითადი კომპონენტია. სახელმწიფოს მხრიდან მსგავსი მხარდაჭერის უზრუნველყოფის გარეშე, პირობით ვადამდე გათავისუფლებულ მსჯავრდებულთა მიერ დადგენილი პირობების დარღვევის ალბათობა მაღალი იქნება, რაც ავტომატურად გაზრდის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში შებრუნებულ მსჯავრდებულთა რიცხვს და უარყოფითად აისახება როგორც უშუალოდ მსჯავდებულზე, ასევე ციხის გადატვირთულობის განმუხტვის პოლიტიკაზე.

პირობით ვადამდე გათავისუფლება მიჩნეულ უნდა იქნეს როგორც ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური და კონსტრუქციული ზომა, რომელიც არა მარტო ამცირებს პატიმრობის ვადას, არამედ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საზოგადოებაში დამნაშავის დაგეგმილ დაბრუნებაში.[185]

ხელი უნდა შეეწყოს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც შეამცირებს არსებული სასჯელის მოხდის ვადებს, ამ პროცესში უპირატესობა ენიჭება ინდივიდუალიზებულ ღონისძიებებს, როგორიცაა პირობით ვადამდე განთავისუფლება, ვიდრე კოლექტიურ ღონისძიებებს ციხის გადატვირთულობის მართვისას , როგორიცაა ამნისტია, კოლექტიური შეწყალება.[186]

5.2. შეწყალებისა და ამნისტიის როლი მსჯავრდებულის რესოციალიზაციისთვის

---

[183] არასაპატიმრო სანქციების გამოყენების ხელშეწყობა სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში, კვლევის ანგარიში, ციხის საერთაშორისო რეფორმა, თბ., 2015, გვ.10-11

[184] არასაპატიმრო სანქციების გამოყენების ხელშეწყობა სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში კვლევის ანგარიში, ციხის საერთაშორისო რეფორმა,თბ., 2015, გვ.32

[185] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია #R (99) 22 ციხის გადატვირთულობის და ციხის მოსახლეობის გაზრდის თაობაზე, პუნქტი 24

[186] მიქანაძე გ., პატიმრის პირობით ვადამდე განთვისუფლების უფლება- ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა,ადამიანის უფლებათა დაცვა:მიღწევები და გამოწვევები,სტატიათა კრებული, რედ. კ.კორკელია, თბ., 2012, გვ. 126

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გათავისუფლების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს ამნისტია და შეწყალება.

სისხლის სამართლის კოდექსის 77-ე მუხლის თანახმად, ამნისტიას აცხადებს საქართველოს პარლამენტი ინდივიდულურად განუსაზღვრელ პირთა წრის მიმართ. ამნისტიის აქტით დამნაშავე შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, ხოლო მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით. იგი ეხება სისხლის სამართლის საქმის ნებისმიერ პროცესუალურ სტადიას, ასევე საქმეთა განუსაზღვრელ ოდენობას.

"ამნისტიას აქვს საერთო სამართლებრივი ხასიათი, როგორც სამართლებრივი ორგანოებისთვის, ასევე თვით ამნისტირებულთა მიმართ. ერთადერთი გამონაკლისი არის ის შემთხვევა, როდესაც პირი თავს დამნაშავედ არ სცნობს და მოითხოვს მისი საქმის სასამართლოს მიერ გადასინჯვას."[187] მაშასადამე, პირი უნდა აცნობიერებდეს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს და აღიარებდეს მას, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია რესოციალიზაციისთვის.

სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, შეწყალებას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტი ინდივიდუალურად განსაზღვრული პირის მიმართ. შეწყალების აქტით მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელის შემდგომი მოხდისგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით.

შეწყალებული ვერ იქნება პატიმარი თუ იგი არ ითხოვს შეწყალებას. ძველი წესი, პატიმრისგან მოითხოვდა შეწყალების თხოვნას,დანაშაულის აღიარებასა და მონანიებას. ახალი წესის მიხედვით კი, შეწყალების თხოვნის განხილვისას გაითვალისწინება მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის აღიარება და მონანიება.[188] აღსანიშნავია, რომ შეწყალება, ამნისტიისგან განსხავევით, მხოლოდ უკვე მსჯავრდებული პირის მიმართ ხორციელდება.

ამნისტია და შეწყალება წახალისების ფორმებია, რომელთა დანიშნულებაც მსჯავრდებულთა საზოგადოებაში ინტეგრაციაა. სახელმწიფო მოტივაციას უმაღლებს ამნისტიისა და შეწყალების საფუძველზე გათავისუფლებულ პირებს, ვადაზე ადრე დაბრუნდნენ საზოგადოებაში და თავი შეიკავონ დანაშაულებრივი ქმედებებისაგან.[189] მათი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანს კიდევ ერთხელ ეძლევა შანსი ჩადენილის გააზრებისა და საზოგადოების სრულფასოვან წევრად გახდომისა.

აღნიშნულ ინსტიტუტთა ეფექტურობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მათი მიზნების სწორი სამართლებრივი რეგლამენტაციას, პრაქტიკის დანერგვასა და

---

[187] სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, მესამე გამოცემა, თბ., 2018, გვ.633

[188] სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი,სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, მესამე გამოცემა, თბ., 2018, გვ. 636

[189] ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ., 2016, გვ.115

მსჯავრდებულისთვის სათანადოდ მიწოდებაზე. აღსანიშნავია, რომ საქართველოს არცერთი სამართლებრივი აქტი არ შეიცავს ინფორმაციას მათი მიზნების შესახებ, რაც ერთ მხრივ მსჯავრდებულებში იწვევს ცრუ მოლოდინებს და მეორე მხრივ, ბუნდოვანს ხდის მათ გამოყენებას.[190] მაგალითად, აშშ-ის პრეზიდენტის მიერ შეწყალების აქტის გამოცემის მიზნები კონკრეტიზებულია, კერძოდ, ორიენტირებულია ოთხ მიზანზე. ესენია: სახელმწიფო ინტერესის გათვალისწინება და პოლიტიკური კრიზისის თავიდან აცილება; მართლმსაჯულების შეცდომის გამოსწორება; იმ პირის შეწყალება, რომელიც დამნაშავეა, არ უარყოფს თავის დანაშაულს, მაგრამ იაზრებს ჩადენილ ქმედებას და იმსახურებს დამატებით შანსს ან მისი შეწყალება ნაკარნახევია ჰუმანიტარული მიზეზით; ქვეყნის სისხლის სამართლის პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა.[191] აშშ-ს მსგავსად, ქართულ რეალობაში მიზნების სამართლებრივი რეგლამენტირება ამ ინსტიტუტთა გამოყენებას უფრო ეფექტურს გახდის.

თავი VI. რესოციალიზაცია სასჯელის მოხდის შემდეგ

რესოციალიზაცია ორ ეტაპად მიმდინარეობს: რესოციალიზაცია სასჯელის მოხდის პერიოდში და რესოციალიზაცია სასჯელის მოხდის შემდეგ. სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში მითითებულია, რომ რესოციალიზაცია ვერ იქნება სრულყოფილი, თუ ის მსჯავრდებულის გათავისუფლებისას დასრულდება.[192]

რესოციალიზაციისთვის მნიშვნელოვანია პატიმართა ფსიქოლოგიურ მდგომარეობა. რამდენად არიან მზად დაბრუნდნენ საზოგადოებაში. საზოგადოებისგან გარიყვის მოლოდინი რეალურია, ვინაიდან დამნაშავის ეტიკეტირების რისკი ყოველთვის მაღალია. რეაბილიტაციისთვის მზადება და შესაბამისი პროგრამებით უზრუნველყოფა, კი სახელმწიფოს ვალდებულებაა, რათა სასჯელის მიზნის, რესოციალიზაციის, აღსრულება ეფექტურად განხორციელდეს.

მსჯავრდებულის გათავისუფლებისთვის მომზადებისას ეწყება განცდები,რომლებიც სხვადასხვა პიროვნებებში სხვადასხვაგვარად აისახება, როგორიცაა, მაგალითად, შიშის სინდრომი,რაც გამოიხატება საზოგადოების არმიღების შიშში, მან არ იცის, როგორ დაამყაროს კონტაქტი და შეეგუოს საზოგადოებას და ოჯახს, არ იცის რა აკეთოს ციხის მიღმა. [193]

---

[190] შეწყალების უფლებამოსილება ქართული მოდელი და საერთაშორისო გამოცდილება, კვლევა, თბ., 2016, გვ.13

[191]შეწყალების უფლებამოსილება ქართული მოდელი და საერთაშორისო გამოცდილება, კვლევა, თბ., 2016, გვ.13

[192] ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ., 2016, გვ.115

[193] ხასია მ., მსჯავრდებულთა სოციალური რეაბილიტაცია საქართველოში, რეალობა და გამოწვევები, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, თბ., 2005, გვ.36

საზოგადოებამ უნდა გაითავისოს, რომ ნასამართლევი ადამიანი საჭიროებს მხარდაჭერასა და თანადგომას, „ის ფაქტი, რომ ადამიანს აქვს სპეციალობა, მზად არის დაუბრუნდეს თავის საქმეს, თუ მას საზოგადოება ამის საშუალებას მისცემს, ანუ ეს არის აშკარად გამოხატული შიშის სინდრომი. ასეთ შემთხვევაში ყოველ კონკრეტულ პიროვნებასთან მუშაობა იქნება რთული, თუ არ იქნება საზოგადოების აქტიური მხარდაჭერა და ჩარევა."[194] საზოგადოებისა და სახელმწიფოს თანადგომა და რესოციალიზაციის პროცესში ჩართულობა გამოიხატება ერთ მხრივ, მსჯავრდებულის დასაქმებითა და მეორე მხრივ, ეტიკეტირების დაუშვებლობით.

6.1. მსჯავრდებულთა დასაქმება

მსჯავდებულთა გათავისუფლების შემდეგ ადაპტაცია გარე დახმარების გარეშე შეუძლებელია ან ძალიან რთულია. ამიტომ რესოციალიზაციის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, სოციალური დახმარების სამსახური. სასჯელის მოხდის შემდეგ წარმატებული რესოციალიზაცია მიიღწევა მსჯავრდებულის დასაქმებით, რაც დანაშაულის რეციდივს შეამცირებს. „სასჯელის მოხდის შემდეგ ყოფილი მსჯავრდებული დგება რიგი პრობლემების წინაშე, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი მსჯავრდებულებისა და პირობით მსჯავრდებულების შეფასებითვე არის ფინანსური პრობლემები და დაუსაქმებლობა."[195]

დასაქმების პრობლემა თავს იჩენს ერთ მხრივ, ალტერნატიული სასჯელის გამოყენებისას, პირობითი მსჯავრისას, ხოლო მეორე მხრივ , დანიშნული სასჯელის მოხდის შემდეგ. მსჯავრდებულის დასაქმება ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია, მსჯავრდებულისთვის, როგორც სასჯელის მოხდის პერიოდში მისი ფსიქოლოგიური და ეკონომიური მდგომარეობის სტაბილურობის თვალსაზრისით, ასევე უმთავრესი გათავისუფლებისთვის მომზადების პროცესში, რათა პირი გათავისუფლებისას აღჭურვილი იყოს სამუშაო უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, რაც მას დაეხმარება ცხოვრების გაუმჯობესებაში.[196]

პრობაციონერთა დიდ ნაწილს მძიმედ აწუხებს უმუშევრობის პრობლემა. ისინი ცხოვრების შეცვლის რეალურ შანსს დასაქმებაში ხედავენ. მაგრამ კიდევ ერთი პრობლემა იჩენს თავს, ალტერნატიული სასჯელის გამოუყენებლობის ძირითადი მიზეზი არის რესურსების, კერძოდ, სამუშაო ადგილების შეთავაზების ნაკლებობა.[197] რეალურად არ არის სამუშაო ადგილები, სადაც მათ დაასაქმებენ, ნაკლები ჩართულობაა ამ მხრივ კერძო სექტორიდან. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2016 წელს პრობაციონერთა რაოდენობა 21453, პრობაციის ეროვნული სააგენტოს

---

[194] ხასია მ., მსჯავრდებულთა სოციალური რეაბილიტაცია საქართველოში, რეალობა და გამოწვევები, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, თბ., 2005, გვ.38

[195] ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ., 2016, გვ. 116

[196] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, გვ. 208-209

[197] შალიკაშვილი მ., ალტერნატიული სასჯელების კვლევა საქართველოში, მზია ლეკვეიშვილი-85, საიუბილეო კრებული, თბ., 2014, გვ.101

ხელშეწყობით, 2016 წელს 156 პირობით მსჯავრდებული დასაქმდა.[198] მნიშვნელოვანია გატარდეს ღონისძიებები ამ კუთხით და გაიზარდოს დასაქმებულთა ხვედრითი წილი. ჩვენს ქვეყანაშიც შეიძლება დაინერგოს პროფესიული, ძირითადი, საშუალო განათლების მიღების შესაძლებელობა. ასევე შესაძლებელია კანონის მიღება კერძო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის გარკვეული შეღავათების გაწევაზე, მას შემდეგ, რაც ისინი განაცხადებენ თანხმობას სამუშაოზე მიიღონ გათავისუფლებული მსჯავრდებული.

წარმოიქმნება კონფლიქტი კანონმორჩილი მოქალაქის დასაქმების უფლებასთან. საქსტატის ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში უმუშევრობის პროცენტული მაჩვენებელი 12, 7 იყო 2018 წელს.[199] დგება საკითხი: რამდენად სამართლიანია სახელმწიფომ სამუშაო ადგილით უზრუნველყოს მსჯავრდებული, როცა კანონმორჩილი მოქალაქე უმუშევარია? საზოგადოების დიდ ნაწილს აქვს პროტესტის განცდა აღნიშნულის გამო და სამართლიანადაც. ამ ორ უფლებას შორის პრიორიტეტი მაინც მსჯავრდებულთა დასაქმებას უნდა მიენიჭოს საზოგადოების მომავალი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე. სასჯელის შედეგად არასაკმარისად რესოციალიზირებული პირის მიერ, რომელიც ნასამართლევადაა ეტიკეტირებული, უჭირს თავის დამკვიდრება, გაუცხოებულია საზოგადოებისადმი და მისთვის ნაცნობია ციხის სიტუაცია, მაღალია განმეორებით დანაშაულის ჩადენის რისკი, ამიტომაც, საზოგადოების სამომავლო პერსპექტივა, მათი უსაფრთხოება მოითხოვს მაქსიმალურად იქნას გამოყენებული ყველა შესაძლო ზომა, რათა თავიდან ავიცილოთ დანაშაული. მართალია მათი დასაქმება ავტომატურად არ ნიშნავს რეციდივის აღკვეთას, თუმცა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მის განხორციელებაში.

6.2. ეტიკეტირების დაუშვებლობა

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი მოითხოვს იმ ადამიანებზე ან ჯგუფებზე ზრუნვას, რომელთაც პიროვნული სისუსტის ან საკუთარი ბრალეულობის გამო, ხელი ეშლებათ პიროვნული და სოციალური განვითარებისთვის, ასეთ ადამიანთა ჯგუფს მიეკუთვნებიან ასევე მსჯავრდებულები.[200]

მიმაჩნია, რომ მსჯავრდებულის რესოციალიზაციას ხელი უნდა შეუწყოს, არა მარტო სახელმწიფომ, არამედ საზოგადოებამაც. ხშირია „ეტიკეტირებულის მხრიდან დამნაშავის იარლიყის მორგება და გამართლება, რაც განმეორებით დანაშაულის ჩადენაში ვლინდება.“[201] როცა ისინი ვერ მკვიდრდებიან საზოგადოებაში, ეს მათი ნაწილის გათამამებას იწვევს, მათ აღარ აქვთ პატიმრობის

[198] http://www.probation.gov.ge
[199] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevroba
[200] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, გვ. 32
[201] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, გვ. 473

შიში, ყველა ის პრობლემა, რაც ციხესთანაა დაკავშირებული მათთვის ნაცნობია და აღარ წარმოადგენს სერიოზულ დაბრკოლებას დანაშაულის ჩასადენად.[202]

მნიშვნელოვანი მაგალითია ე.წ. „ლებახის საქმე“,[203] საკონსტიტუციო სასამართლომ ტელეკომპანია „ZDF“-ს აუკრძალა დოკუმენტური ფილმის ჩვენება და განაცხადა: `მსჯავრდებულს, როგორც კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ღირსების მატარებელ პირს, შესაძლებლობა უნდა მიეცეს, სასჯელის მოხდის შემდეგ ინტეგრირებულ იქნას საზოგადოებაში. მსჯავრდებულის ინტერესი რესოციალიზაციაზე გამომდინარეობს გერმანიის კონსტიტუციის მეორე მუხლის პირველი ნაწილიდან.

მხოლოდ სახელმწიფო არ არის ვალდებული პირის რესოციალიზაციაზე, საზოგადოებამაც ხელი უნდ შეუწყოს მსჯავრდებულის ხელახლა ინტეგრაციას, რაც პირველ რიგში, ეტიკეტირების თავიდან აცილებაში გამოიხატება. სახელმწიფოსა და საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელი გახდება სასჯელის მთავრი მიზნის- რესოციალიზაციის მიღწევა.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში განხილულ იქნა რესოციალიზაციის არსი და მისი მიმართება სასჯელის სხვა მიზნებთან, წარმოჩნდა მისი პრიორიტეტულობა.

სასჯელი სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი რეაქციაა დანაშაულზე, სახელმწიფოს პასუხი მოტივირებულია დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ თანაზომიერი იძულების ღონისძიების გამოყენებით მისი ქცევის კორექტირების აუცილებლობით- საზოგადოებაში მისი ადაპტაციითა და მის მიერ მომავალი დანაშაულის ჩადენის რისკების მინიმალიზაციით, რაც რესოციალიზირებულ მსჯავრდებულს ნიშნავს.

რესოციალიზაციის ვალდებულებას მოიცავს სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, რომელიც სახელმწიფოს, როგორც რესოციალიზაციაზე პასუხისმგებელ სუბიექტს, შესაბამისი ღონისძიებების გატარების ვალდებულებას უწესებს, რომლის განხორციელების დასაწყისსაც სასჯელის დანიშვნა წარმოადგენს ინდივიდუალიზებული, პროპორციული და დანაშაულის ადეკვატური სასჯელი რესოციალიზაციის ხელშემწყობი არსებითი ფაქტორია, ნაშრომში განხილულ იქნა რა დიდი მნიშვნელობა გააჩნია სასჯელის სწორად შერჩევის პრინციპს. მისი ორიენტირი სასჯელის მიზნებია.

პრობლემატურია სასჯელის მიზნებს შორის იერარქიულობის საკითხი. ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და რესოციალიზაციას შორის პრიორიტეტი ამ

---

[202] ხასია მ., მსჯავრდებულთა სოციალური რეაბილიტაცია საქართველოში, რეალობა და პერსპექტივები, თბ., საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, 2005, გვ.36

[203] გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება (BverfG 35, 202; ი. შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. თბ.2011. გვ. 131

უკანასკნელს უნდა მიენიჭოს, რაც განპირობებულია უსაფრთხო მომავლის უკეთესი გარანტიით, ერთ შემთხევაში პირი აღარ სჩადის დანაშაულს სასჯელის მუქარით, ხოლო მეორე შემთხვევაში კი რესოციალიზებულია, გამოსწორებულია, რაც გაცილებით ძლიერ ბერკეტს წარმოადგენს დანაშაულის ასაცილებლად.

რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენას, იგი სასჯელის ერთ-ერთი მიზანია, თუმცა არა უმთავრესი, შესაძლოა კონკრეტულ შემთხვევაში პირს შეეფარდოს ადეკვატური სასჯელი და დანაშაულის ჩადენით დარღვეული სამართლიანობა აღდგეს, მაგრამ მას რესოციალიზაციისგან განსხავებით სამომავლო შედეგები არ გააჩნია, სამართლიანობის აღდგენის შედეგი სასჯელის შეფარდებისას სრულდება, ხოლო რესოციალიზაციის კი ორიენტირებულია საზოგადოების სამომავლო უსაფრთხოებაზე, სოციუმისთვის ორივე რელევანტურია, თუმცა უფრო წონადი რესოციალიზაციაა.

ნაშრომში განხილულია ალტერნატიული სასჯელების მნიშვნელობა მსჯავრდებულის რესოციალიზაციისთვის, ისინი იცავენ მსჯავრდებულს ციხის ზეგავლენისგან და საზოგადოებისგან იზოლაციის გარეშე შესაძლებელს ხდიან პირის გამოსწორებას, განსაკუთრებით ეფექტურია საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, საქართველოში ალტერნატიული სასჯელების შეფარდების ტენდენცია თანდათან იზრდება, მნიშვნელოვანია ამ პროცესში საზოგადოების ჩართულობა და ამ კუთხით სახელმწიფოს გასატარებელი აქვს შესაბამისი ღონისძიებები.

რესოციალიზაციასთან კავშირში განხილულ იქნა თავისუფლების აღკვეთის საკითხი, თუ რამდენად უზრუნველყოფს ის მის მიღწევას, რა ძალისხმევა სჭირდება სახელმწიფოს საამისოდ, თავისუფლების აღკვეთა თავისი ხასიათით ყველაზე მძიმე სასჯელს წარმოადგენს და ამ დროს სასჯელის გავლენა ყველაზე მეტად შეიმჩნევა, მნიშვნელოვანია შემცირდეს გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთის შეფარდება რიგ შემთხვევებში, სადაც რესოციალიზაციის მიღწევა შედარებით ნაკლები ძალისხმევითაცაა შესაძლებელი, მისი სამომავლო შედეგებიდან გამომდინარე. ნაშრომში განსაკუთრებით ყურადღება გამახვილდა უვადო თავისუფლების აღკვეთაზე. რესოციალიზაციის უმთავრესი ფაქტორი ასეთ შემთხვევებში პირობით ვადამდე გათავისუფლების შესაძლებლობის არსებობაა. უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირთა კატეგორია მაღალი რისკჯგუფს განეკუთვნება, მათ განსაკუთრებით მძიმე დანაშაული აქვთ ჩადენილი და საფრთხეს უქმნიან საზოგადოებრივ წესრიგს. მათი რესოციალიზაცია დიდ ძალისხმევასა და განსაკუთრებულად ფრთხილ, მიზანმიმართულ დაგეგმას საჭიროებს. მისი დღეს მოქმედი რეგულირება იძლევა რესოციალიზაციის შესაძლებლობას, თუმცა რისკების ზუსტად განჭვრეტა, შეფასება და შესაბამის ღონისძიებათა ფრთხილი გამოყენება ამ პროცესის აუცილებელი ნაწილია, დიდია სასჯელაღსრულების დაწესებულების მნიშვნელობა ამ პროცესში.

განხილულ იქნა პირობით ვადამდე გათავისუფლების როლი მსჯავრდებულის რესოციალიზაციაში, რომ იგი წარმოადგენს მსჯავრდებულისთვის შანსს დაუბრუნდეს საზოგადოებას სასჯელის მოხდამდე და რესოციალიზაციის პროცესი

საზოგადოებაში წარმართოს. მსჯავრდებულის რესოციალიზაცია არ მთავრდება სასჯელის მოხდისას, იგი მის შემდეგაც ხორციელდება, რასაც სახელმწიფოსა და საზოგადოების მხარდაჭერით ხელი უნდა შეეწყოს, აღნიშნული გულისხმობს მათ დასაქმებასა და ეტიკეტირების დაუშვებლობას. საზოგადოებამ მსჯავრდებული უნდა მიიღოს, როგორც სრულფასოვანი მოქალაქე.

რესოციალიზაციის სამომავლო პერსპექტივა საზოგადოების უსაფრთხოების მნიშვნელოვანი გარანტია, შედეგი, რომელიც მას მოჰყვება გაცილებით აღემატება მასზე გაწეულ დანახარჯებს, ამიტომ სახელმწიფომ და საზოგადოებამ აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი პროცესის ნაყოფიერ წარმართვას.

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ლიტერატურა

1. ადამიანის უფლებები და სასჯელაღსრულების დაწესებულებები, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების საკითხებში სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთათვის, ნიუ-იორკი და ჟენევა, 2005
2. არასაპატიმრო სანქციების გამოყენების ხელშეწყობა სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში, კვლევის ანგარიში, ციხის საერთაშორისო რეფორმა, თბ.,2015
3. გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი III, თბ., გამომც. "მერიდიანი", 2013
4. დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელები და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013
5. ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბ., უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016
6. კოილი ე., პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან – სახელმძღვანელო პენიტენციალური სისტემის თანამშრომლებისთვის. თბილისი, 2007
7. ლეკვეიშვილი მ., შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები,სტატიათა კრებული, თბ., 2011
8. მიქანაძე გ., არასრულწლოვან, ქალ და უვადო თავისუფლებააღკვეთილ პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებანი, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბ., 2008
9. ნაჭყებია გ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი,სახელმძღვანელო, თბ., გამომც. „ინოვაცია“, 2011
10. პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, თბ., გამომც. „სანი“ , 1999
11. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, რედ. მ. მამნიაშვილი, ჯ. გახოკიძე, ი. გაბისონია, თბ., გამომც. "საუნჯე", "იურისტების სამყარო", 2012
12. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ.ნაჭყებია, ნ.თოდუა, მესამე გამოცემა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2018
13. ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., გამომც. "მერიდიანი", 2011
14. ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013
15. უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, (3 ტომად), შემდგ. ა. ელერდაშვილი, თბილისი, 2006

16. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2007
17. შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, თბ., გამომც. "მერიდიანი", 2017
18. შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“, 2014
19. შალიკაშვილი მ., ჩიხლაძე დ., პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი, თბილისი/ბერლინი, 2013
20. შვაბე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბ., 2011
21. ციხეში პატიმრობასთან დაკავშირებული კომიტეტის სტანდარტების განვითარება, წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი (CPT), 2001
22. ხასია მ., მსჯავრდებულთა სოციალური რეაბილიტაცია საქართველოში, რეალობა და პერსპექტივები, თბ., საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, 2005
23. ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2004
24. ხუბუა გ., სამართლის თეორია, მეორე გამოცემა, თბ., გამომც. “მერიდიანი“, 2015

სტატიები

1. გოცირიძე ევა, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის კომენტარი, წიგნში- საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თბ., 2013
2. ივანიძე მ., ალტერნატიული სასჯელები,(შედარებითი ანალიზი), მზია ლეკვეიშვილი-85, საიუბილეო კრებული, თბ., გამომც. "იურისტების სამყარო", 2014
3. კობერიძე კ., სასჯელაღსრულების დაწესებულების რეჟიმის მნიშვნელობა მსჯავრდებულის რესოციალიზაციისათვის, სამართალი, #11-12, თბ., 2002
4. კუბლაშვილი კ., საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის კომენტარი, წიგნში-საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, თბ., 2005
5. ლეკვეიშვილი მ., სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი, წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016
6. ლეკვეიშვილი მ., სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, მართლმსაჯულება და კანონი, #4 (43), 14

7. მიქანაძე გ., პატიმრის პირობით ვადამდე განთვისუფლების უფლება- ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა,ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, რედ. კ.კორკელია, თბ., 2012,
8. ნაჭყებია გ., მსჯავრდებულის „მორალური გამოსწორების“ საკითხისთვის, სამართალი, 1995, #3-4
9. პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ. 2007
10. ტყეშელიაძე გ., სასჯელის მიზნების საკანონმდებლო განსაზღვრების შესახებ, სერგო ჯორბენაძე-70, საიუბილეო კრებული, თბ., 1996
11. ქათამაძე მ., „ სამართლიანობის აღდგენა, როგორც სასჯელის მიზანი“, სამართალი, თბ., 2000, #10,11,12
12. შალიკაშვილი მ., ალტერნატიული სასჯელების კვლევა საქართველოში, მზია ლეკვეიშვილი-85, საიუბილეო კრებული, თბ., გამომც. "იურისტების სამყარო", 2014
13. ცქიტიშვილი თ., სასჯელის პროპორციულობა, წიგნში: „სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში“, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016
14. ხერხეულიძე ი, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა- არასაპატიმრო სახის სასჯელთა შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო აგენტი (საქართველოსა და აშშ- სისხლისამართლებრივი მიდგომის შედარებითი ანალიზი), მართლმსაჯულება და კანონი, #2(29) 11

უცხოენოვანი ლიტერატურა

1. Larry Alexander, Kimberly Kessler, Ferzan, Crime and Culpability, A Theory of Criminal Law, Cambridge University Press, 2009
2. Richard S. Frase, Punishment purposes, Stanford Law Review, Vol. 58:67, October, 2005
3. United Nations Office On Drugs And Crime, Vienna, Handbook of basic principles and promising practices on alternatives to Imprisonment, 2007
4. Hillsman S.T. Fines and Day Fines, Crime and Justice,Vol.12, 1990Richard S. Frase, Just Sentencing: Principles and Procedures for a Workable System, Oxford University Press, 2013
5. H.L.A. Hart, Punishment and pesponsibility, Essayes in the philosophy of Law, second edition, OXFORD University Press, 2008
6. D. van Zyl Smit and S. Snacken, Principles of European Prison Law and Policy, Penology and Human Rights, Oxford University Press Inc., New York, 2011, 316.

7. В. К. Дуюнов. Механизм уголовно-правового воздействия теоретические основы и практика реализации. дисс. докт. Юрид. Наук. Тольяти 2001

ნორმატიული მასალა

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი , 2019 წლის 25 მაისის მდგომარეობით
3. საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“, 2019 წლის 28 ივნისის მდგომარეობით
4. საქართველოს კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, 2019 წლის 22 თებერვლის მდგომარეობით
5. საქართველოს კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“
6. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (99)22 ციხის გადატვირთულობისა და „ციხის მოსახლეობის“ ზრდის თაობაზე
7. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003) 23 ციხის ადმინისტრაციის მიერ უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვის შესახებ
8. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)22 პირობით ვადამდე განთავისუფლების შესახებ,
9. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ევროპული ციხის წესების შესახებ,

სასამართლო გადაწყეტილებები

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება #1/4/592 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარალამენტის წინააღმდეგ“
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება #1/6/557,571,576 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები- ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამნეტის წინააღმდეგ,
3. ეინჰორნი საფრანგეთის წინააღმდეგ (Einhorn v. France) 16 ოქტომბერი, 2001

ინერნეტრესურსი

https://www.matsne.gov.ge/

http://www.supremecourt.ge

http://www.probation.gov.ge

http://www.parliament.ge

http://www.library.court.ge/upload/24272017-02-22.pdf

https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevroba

http://coalition.ge/files/shetskalebis_uflebamosileba_24022016.pdf

https://books.google.ge/books/about/Crime_and_Culpability.html?id=lLRrA_YghZAC&printsec=frontcover&source=kp_read_button&redir_esc=y#v=onepage&q&f=false

http://www.stanfordlawreview.org/wp-content/uploads/sites/3/2010/04/Frase.pdf
http://www.unodc.org/pdf/criminal_justice/07-80478_ebook.pdf
https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2230147